„ა(ა)იპ“ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მამული გორგილაძე

სხალთისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომი

სპეციალობა: არქეოლოგია

თემის ხელმძღვანელი: ნ.სურმანიძე
ასოც. პროფესორი

ხიჭაური
2019

ანოტაცია

სხალთისწყლის ხეობა არქეოლოგიური ძეგლებით მდიდარი მხარეა. აქ მოპოვებულია ქვისა და ბრინჯაოს ხანის საინტერესო არტეფაქტები; დღემდეა შემორჩენილი შუა საუკუნეების არაერთი თავდაცვითი ნაგებობანი. ხეობის დასაწყისში დაცულია ქვითკირით ნაგები თაღიანი ხიდი. საზოგადოების იდეოლოგიაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ეკლესია - მონასტრების სიმრავლე.

annotation

The Skhaltaistskali valley is a wealthy archeological site. Here we find interesting artefacts of stone and bronze. There are still many stupas in the Middle Ages. At the beginning of the gorge, a bridge with a sprinkler bridge is protected. The ideology of the society creates a set of churches - monasteries.

სარჩევი

შესავალი ---------- 5

თავი I. სხალთის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები

$ 1. ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები ---------- 7

$ 2. ბრინჯაოსა-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები --- 8

$ 3. მეგალითური კულტურის ძეგლები ---------- 16

თავი II. სხალთისწყლის ხეობის შუა საუკუნეების თავდაცვითი და საგზაო ნაგებობები

$ 1. ხიხანის ციხე ---------- 18

$ 2. ციხისყელი- ვარდციხე ---------- 22

$ 3. ფურტიოს თაღოვანი ხიდი ---------- 24

თავი II. სხალთისწყლის ხეობის ნაეკლესიარები

$ 1.სხალთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი ---------- 25

$ 2. თხილვანის ნაეკლესიარი---------- 30

$ 3. კალოთის ნაეკლესიარი ---------- 32

$ 4. ვერნების ნაეკლესიარი ---------- 35

$ 5. თიკანაურის ნაეკლესიარი ---------- 37

$ 6. ფურტიოს ნაეკლესიარები ---------- 38

$ 7. ხიხანის ნაეკლესიარი ---------- 43

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 44

ტაბულების აღწერა ---------- 47

შესავალი

თემის აქტუალობა. სხალთისწყლის ხეობა მოქცეულია სხალთისა და მარეთის ქედებს შორის. ხეობას ქმნის მდინარე სხალთის წყალი, რომელიც სათავეს იღებს არსიანის მთების დასავლეთი კალთებიდან და სოფელ ფურტიოსთან, უერთდება მდინარე აჭარის წყალს. აქ გადოდა სამხრეთ რაიონებთან დამაკავშირებელი გზები. ხეობაში დღემდეა შემორჩენილი საფორთიპიკაციო ნაგებობანი (ხიხანი, ვარციხე ციხისყელი, წაბლანა და სხვა). ხეობის დასაწყისში დაცულია შუა საუკუნეების ქვითკირის თაღიანი ხიდი. დაწინაურებული საზოგადოების იდეოლოგიაზე განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ეკლესია - მონასტრების სიმრავლე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სხალთისწყლის ხეობაში დაცული მატერიალური კულტურის ძეგლების კვლევა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, ვინაიდან იგი აფართოებს ჩვენ წარმოდგენას აჭარისა და საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაზე ქვის ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით. განსაზღვრავს საკვლევი რეგიონის როლს სრულიად საქართველოს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თემის მიზანი. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების საფუძველზე აჩვენოს სხალთისწყლის ხეობის როლი საქართველოს ისტორიაში.

სიახლე და მნიშვნელობა. სამაგისტრო ნაშრომში განხილულია არა მარტო ადრე შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლები, არამედსაუბარია უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებაც.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავისა და ძირითადი დასკვნებისაგან.

შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, განსაზღვრულია მიზანი, მოცემულია სიახლე და მნიშვნელობა.

თავი I. სხალთის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. შედგება ორი პარაგრაფისაგან **$ 1. ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები.** განხილულია ყიშლაში აღმოჩენილი ობსიდიანის იარაღები; **$ 2. ბრინჯაოსა-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები.** საუბარია სოფ.ვერნების, რაქვთის, ფუშრუკაულის ცულებსა და ხიხაძირის განძის შესახებ; **$ 3. მეგალითური კულტურის ძეგლები.** განხილულიაკალოთის საკურთხეველ-სამსხვერპლო და ვერნების ვეშაპოიდი.

თავი II. სხალთისწყლის ხეობის შუა საუკუნეების თავდაცვითი და საგზაო ნაგებობები. შედგება სამი პარაგრაფისაგან. **$ 1. ხიხანის ციხე.** პარაგრაფში განხილულია უახლესი 2014-2016 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები; **$ 2. ციხისყელი- ვარდციხე.** საუბარია სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობის მქონე ძეგლის მნიშვნელობაზე; **$ 3. ფურტიოს თაღოვანი ხიდი.**ყურადღებაა გამახვილებული სხალთისწყლის ხეობაში გამავალ გზებსა და გადასასვლელებზე.

თავი II. სხალთისწყლის ხეობის ნაეკლესიარები. შედგება ექვსი პარაგრაფისაგან. **$ 1.სხალთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი;$ 2. თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ნაეკლესიარი;$ 3. კალოთის ნაეკლესიარი; $ 4. ვერნების ნაეკლესიარი;$ 5. თიკანაურის ნაეკლესიარი; $ 6. ფურტიოს ნაეკლესიარები.** ამ თავში განხილულია ხეობაში დაცული საეკლესიო ნაგებობები და საუბარია ეკონომიურად და პოლიტიკურად დაწინაურებულ საზოგადოების იდეოლოგიაზე.

დასკვნით ნაწილში მოკლედაა შეჯერებული ცალკეულ პარაგრაფებში განხილული საკითხები და მოცემულია ჩვენეული ინტერპრეტაციები.

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურა, ილუსტრაციები და ტაბულების აღწერა.

თავი I. სხალთის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები

$ 1. ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები

სხალთის ხეობაში ყველაზე ადრეული არტეფაქტები განეკუთვნება ნეოლითის ხანას. ისინი ძირითადად კაჟის, ობსიდიანისა და ბაზალტის ქვებზე დამზადებული სხვადასხვა სახის ნივთებითაა წარმოდგენილი. დიდი ნაწილი შემთხვევითი მონაპოვრებია. პირველად ნეოლითური ხანის მასალები აღმოჩნდა 1973 წელს სოფ. თიკანაურში. 1974 წელს სოფელ წაბლანაში, ყიშლაში, თ.შაინიძის საკარმიდამო ნაკვეთში მიწის სამუშაოების დროს შეგროვდა ობსიდიანისაგან დამზადებული ნუკლეუსები, ანატკეცები, ლამელები და საფხეკები, რომლებიც ფორმების მიხედვით მსგავსია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური ხანის ნამოსახლარებზე (მახვილაური, კვირიკე, ხუცუბანი, ქობულეთი, ჯიხანჯური, ჩოლოქი და სხვა.) აღმოჩენილი მასალებისა (მამულაძე, 1993:18-19). მონაპოვრებს შორის განსაკუთრებით გამოვყოფ შავი ობსიდიანისაგან (ვულკანური მინისაგან) დამზადებულ შუბისპირს (ტაბ. I/1). რომელიც სსიპ აჭარის მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზშია გამოფენილი. სამკუთხა ფორმის შუბისპირს, აქვს სამი ფერდი, შემორჩენილია დარტყმის მოედანი და მკვეთრად გამოხატული ატკეცვის ბურცობი. კიდეები რეტუშირებული აქვს. თარიღდება ძვ.წ. IX-VIII ათასწლეულებით (გოგიტიძე, 1979, IV/3; ჩხატარაშვილი, 2017:55).

მიუხედავად იმისა, რომ სხალთისწყლის ხეობაში ქვის ხანის ძეგლები მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი, დღევანდელი მონაცემებით, თამამად შეგვიძლია ხეობის ისტორია, ნეოლითის ხანიდან დავიწყოთ.

$ 2. ბრინჯაოსა-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები

სხალთისწყლის ხეობაში ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები დღესდღეობით თითქმის არაა აღმოჩენილი. შესაბამისად ამ მიმართულებით ხეობა საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა.

სხალთისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების უახლოეს მონაპოვრებს შორის შეიძლება გამოვყოთ ერთად-ერთი არტეფაქტი, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანითაა (ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით) დათარიღებული. ესაა 2002 წლის ზაფხულში სოფ. ვერნებში, სოფლის ცენტრიდან 6-7კმ-ის მოშორებით (,,მერცხნარი“) აღმოჩენილი ყუამილიანი ცული (ტაბ. I/2), ნივთი, გზის ჭრილში, შემთხვევით იპოვა სოფლის მკვიდრმა პატა აბაშიძემ. ცული პატარა ზომისაა. აქვს მასიური მილისებრი ყუა, ოთხკუთხა მოყვანილობის ორფერდა ტანი, მახვილი პირი. ემჩნევა ხანგრძლივი გამოყენების კვალი. მილიანი ყუის სიგრძე 4,6 სმ-ია, სიფართე 3 სმ. ტანის სიმაღლე ყუასთან ერთად 11,4 სმ-ია, სიფართე 2,9 სმ (კახიძე, 2007:145; კახიძე, მამულაძე, 2016: 16, ტაბ.11/1, კახიძე, სურმანიძე, ნაგერვაძე, 2016).

ხეობაში აღმოჩენილი ლითონის იარაღები უპირატესად მომდევნო ეპოქებს განეკუთვნება. გვიანბრინჯაოს ხანითაა დათარიღებული სოფ. რაქვთაში აღმოჩენილი ყუაკვერიანი ცული (ტაბ. I/3). აქვს ექვსად დაწახნაგებული ტანი, დაბალი, ასიმეტრიული პირი (კახიძე, 2007:7, ტაბ. III; IV/3). ცული ძვ.წ. XI-X სს თარიღდება.

ყუაკვერიანი ცულია აღმოჩენილი ასევე ხიხაძირ-კალოთას მონაკვეთში (კახიძე, მამულაძე, 1993:27-36).

ყუაკვერიანი ცულების გავრცელების არეალის მიხედვით ჩანს, რომ ისინი გენეტიკურად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან უნდა იყვნენ დაკავშირებული და ძირითადად აჭარის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საინტერესო მონაპოვარს წარმოადგენს 1977-78 წწ ხიხაძირ-კალოთას მონაკვეთში, ადგილი - ,,იბოდედეს ახოები“ აღმოჩენილი ბრინჯაოს განძი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში **ხიხაძირის განძის** სახელითაა ცნობილი (ტაბ. III). (კახიძე, დავითაძე, მამულაძე, 1979:90;მათივე, 1980:61-64, მათივე,

1981:737-740; მათივე, 1981:89-100; კახიძე, მამულაძე 1993: 27-29; კახიძე, მამულაძე, 2007:144-148; კახიძე, მამულაძე 2016: 24, ტაბ. 17). თარიღდება ძვ.წ. VIII-VII სს



პირველ რიგში ყურადღებას გავამახვილებთ პირველი ტიპის კოლხურ, გრავირებულ ცულებზე.

პირველ ცულს აქვს მახვილი ყუა, სატარე ხვრელი წვეტიან-ოვალური მოყვანილობის, წელი მაღალი, გორდა ასიმეტრიული პირი (უკანა ნიღრი წინაზე ოდნავ მაღლაა აწეული), ყუისა და სატარე ხვრელის ზედაპირი სადაა. ცულის შუა წელის ექვსივე წახნაგზე ამოღარულია წერტილის ირგვლივ განლაგებული წრეები, რომლებიც შემოფარგლულია წიწვოვანი სამკაულის ჰორიზონტალური ზოლებით. ცულის ორივე ლოყაზე ძაღლის მარჯვნივ მიმართულისტილიზებული გამოსახულებებია მოცემული. ფიგურა ცულის ლოყაზე ჰორიზონტულადაა მოთავსებული თავით წინ. კონტური მკაფიოა (უკანა ფეხის კონტური შესწორებულია). ბეწვის ფაქტურისა და სხეულის ცალკეული ნაკვთების რელიეფურობის გადმოსაცემად გამოყენებულია წვრილი ხაზებით შემოსაზღვრული ზოგან მჭიდრო, ზოგან კი გაშლილი წერტილოვანი ორნამენტი, რაც ერთგვარად მოცულობითს ხდის ფიგურას. გამოსახულება შესრულებულია ნატურალისტური მანერით. ფიგურას აქვს პროპორციული სხეული, სტატიკური პოზა, ჩაზნექილი ტორსი, ზომიერად დაღებული პირი, დაცქვეტილი ყურები, მაღალი, სქელი და მომრგვალებული კისერი, მოკლე ტანი, მოხრილი ფეხები, მორკალული კუდი. ცული ქ. რამიშვილის „ფანტასტიკური“ ცხოველების კლასიფიკაციის I ჯგუფის I ქვეჯგუფში შედის (რამიშვილი, 2011:255, ტაბ. I/1).

მეორე ცული ხიხაძირიდან როგორც ფორმით, ისე გამოსახულებათა კომპოზიციური აგების პრინციპით მსგავსებას იჩენს პირველ ცულთან, იგი ცულების პირველ ტიპს ეკუთვნის ტანითა და მახვილი, მაღალი ყუითა და სიმეტრიული პირით.



ცულის პირზე, ორივე მხრიდან ერთმანეთისაკენ მიმართული ძაღლის ფიგურებია გამოსახული. წელის არეში ერთ წახნაგზე ცულის პირისკენ მიმართული გველია გამოსახული, მეორეზე -სპირალური ორნამენტი,ე. წ. ზენური ხვიები. სატარე ხვრელს ზემოთ, შუბლის წახნაგებზე გრავირებულია წყვილი კონცენტრული წრე.

კომპოზიციის გაშლის შემთხვევაში ანტითეზას ვიღებთ. კომპოზიცია იმავე პრინციპზეა აგებული - ჰერალდიკური კომპოზიცია ცენტრში ორი ქვეწარმავლის გამოსახულებით.

კიდევ უფრო მდიდრულადაა შემკული მესამე კოლხური ცული. ორნამენტი და გამოსახულებანი ცულზე ფრიზისებურადაა განლაგებული. ყუისა და სატარე ხვრელის არე შემკულია სხვადასხვა ზომის კონცენტრული წრეებით. ორნამენტი ორგანულად ერწყმის ცულის ფორმას. ნათელია გამოსახულების და მისთვის განკუთვნილი არის ურთიერთშეთავსების მცდელობა, რასაც მოწმობს ის, რომ წახნაგის გაფართოებასთან ერთად წრეების რიცხვი იზრდება (1,2,3). ყუის წახნაგებიც დაფარულია მკვეთრი კონტურით შემოფარგლული წერტილებით და ზიგზაგური ორნამენტული ზოლით, სარტყლით. სატარე ხვრელის თავსა და ბოლოში, ორივე წახნაგზე სიმეტრიულადაა განლაგებული მოზრდილი წრეები. სატარე ხვრელის გვერდით წახნაგზეც, ასევე, წრეებია განლაგებული - ერთზე ხუთი წრე, მეორეზე - ოთხი. წრეები, ბადისებრი ორნამენტის ზოლებით, კადრშია მოქცეული. ასეთივე ბადისებრი ორნამენტის ჰორიზონტალური ზოლებია ცულის წელზე, რაც ასევე



კადრში აქცევს სიმეტრიულად განლაგებული წრეების სამ რიგს. ცულის პირის არეში, ორივე ლოყაზე გრავირებული ძაღლის ფიგურაა, ხოლო შუბლის წახნაგის არეში გველის გამოსახულებაა, რომელიც იწყება უკანა ლოყიდან და გადმოდის წინა ლოყაზე. აღსანიშნავია, რომ კოლხურ ცულებზე ქვეწარმავალსა და თევზს გამოსახვის ერთი პრინციპი უდევს საფუძვლად და სტილის ევოლუციის თვალსაზრისით ეს პრინციპი არსებით ცვლილებას არ განიცდის. გველი გამოისახება კლაკნილი ხაზით და ისრისებური თავით. სხვა ცულებისგან განსხვავებით იგი უფრო მოცულობრივი ჩანს. ფიგურები გამოირჩევა სისავსით და მოცულობრიობით.

ძაღლი კოლხური ხელოვნებისათვის სახასიათო სტილითაა შესრულებული - მოხრილი კიდურები, აცქვეტილი ყურები, რკალისებური კუდი, მკვეთრი კონტურით შემოსაზღვრული ფიგურა. ყურადღებას იპყრობს ძაღლის სამკუთხა ფორმის თათები, რომლებიც აძლიერებს ფიგურის დინამიურობას. ცხოველის სხეული მთლიანად მცირე ზომის წერტილებითაა შევსებული. შუა ნაწილში მოზრდილი წრეებია, რომლებსაც მოუყვება ვიწრო ზოლი. ამით ცხოველის ღვთაებრივი ბუნებაა მინიშნებული.

ორივე მთავარი ფიგურა სახით ქვეწარმავლისაკენაა მიმართული. ფიგურები იდენტურია, თუ არ ჩავთვლით წინა ლოყაზე გამოსახული ძაღლის უკანა ფეხს, რომელიც უორნამენტოა. ქვეწარმავალთა ტანი კლაკნილი, დენადი ხაზითაა გამოყვანილი. ტანი წერტილებითაა შევსებული. გამოსახულება პლასტიურია, რასაც ქმნის მოქნილი, დენადიხაზი, კიდურთა ტეხილები, მორკალული კუდი.

ფიგურათა გაშლის შემთხვევაში მივიღებთ ანტითეზურ გამოსახულებას, კერძოდ, ტრიადას - ჰერალდიკურ პოზაში გამოსახული ძაღლები, ცენტრში - კი ქვეწარმავალი.

ნებისმიერი უძველესი მითოლოგიის ძირითადი ბლოკი არაა მრავალრიცხოვანი და საბოლოოდ მიდის ბინარულ ოპოზიციებთან: სიცოცხლე - სიკვდილი, ნაყოფიერება - უნაყოფობა, ქაოსი - კოსმოსი,

ურთიერთბრძოლის სცენა აქ არ გვაქვს, უფრო იერარქიულ პრონციპთან უნდა გვქონდეს საქმე - გველის დაქვემდებარებულობა ძაღლთან.

ხიხაძირის განძში დაცულ გრავირებულ ცულებს არაერთი ანალოგი მოეპოვებათ, როგორც დასავლურ-ქართულ (კოლხურ), ისე ყობანურ მასალებს შორის.ხიხაძირის ცულებთან გრავირებით ახლოს დგას ფსირცხაში (Лукин, 1941:рис. 6,2), აჭანდარაში (Воронов, Гунба, 1978), წითელშუქურაში, ნიკორწმინდაში, თლის სამაროვანზე, ყობანში, ეშერაში, ცხინვალში აღმოჩენილი ცულები. აღნიშნული ნიმუშები ერთმანეთს ემსგავსება ძაღლის, გველების, კონცენტრული წრეების, ზენური ხვიების, ზიგზაგისებური ზოლებისა და სხვა სახის სამკაულთა გამოსახვის მანერით. მსგავს სიუჟეტიანი გამოსახულებები გვხვდება ამ პერიოდის აბზინდებზე და ბრინჯაოს გრავირებულ სარტყლებზე.

განძში შედიოდა ასევე მთლიანი, მოზრდილი ყვაკვერიანი ცული, მკვეთრად გამოყოფილი ყუით. დაბალი წელით გორდა ასიმეტრიული პირით. აღსანიშნავია აგრეთვე დიდი ზომის სადა ცულისა და ეტყობა ამულეტად გამოყენებული მინიატურული ცულის ნატეხები. სხვა ნივთებიდან ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს კოლხური ფრაგმენტური წალდი, აკლია დინკი-ნიღრი.

წალდი სამხრეთ-დასავლეთ ზოლსა და ქვემო იმერეთშია გავრცელებული. მათ ჰქონდათ მრავალმხრივი გამოყენება: ვენახის გასხვლა, ახოს აღება, ყამირის გატეხა, ეკალ ბარდისა და ბუჩქნარის გაჩეხვა, წვრილი ხეების მოჭვრა-გასხვლა, ნეკრის დამზადება და ა. შ. რკინის წალდები დღესაც ფართოდაა გავრცელებული სამეურნეო ყოფაში. უნივერსალური იარაღის ეს ფორმა მსოფლიოს სხვა ხალხებისთვის უცნობია.

მონაპოვარში სეგმენტური იარაღები ორი მთლიანად დაცული ეგზემპლიარითაა წარმოდგენილი: მაღალყუნწიანები ერთი მათგანი ჰორიზონტალურმხარეებიანია, მეორეს ნიღრი ოდნავ ზემოთკენაა აწეული. აქვს მომრგვალებული, ასიმეტრიული სეგმენტური პირი.მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა სეგმენტების ფუნქციონალური დანიშნულების გარკვევასთან დაკავშირებით. საბოლოოდ ეს საკითხი დღესაც გადაუჭრელია. მკლევართა ერთი ნაწილი სეგმენტს თოხისებურ იარაღად მიჩნევს. ნაწილი ხორცის, ტყავისდასამუშავებელი ან მცენარეულობის საჩეხ-საკეპი იარაღი იყო. ზოგიც ბარისმაგვარ იარაღად მიიჩნევს. გამოიყენებოდა ფულის

ერთეულადაც. გამოითქვა მოსაზრება, რომ ბრინჯაოს სეგმენტური იარაღი სახნისის მარტივ ფორმას წარმოადგენდა.

1954 წელს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საინტერესო მასალები (ბრინჯაოსა და რკინის ცულები, რკინის შუბისპირები, ქვის სალესი, ყურმილიანი დოქები, თასები, კოჭობი და ა.შ.) აღმოჩენდა სოფელ ფუშრუკაულში - ადგილი ,,ხიზანღელე''. სამეცნიერო ლიტერატურაში მონაპოვარი ,,ვერნების განძის" სახელით შევიდა, თუმცა 1977 წელს აღმოჩენის ადგილის შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ არტეფაქტები სოფელ ფუშრუკაულის ტერიტორიაზე, ძვ.წ. VII-VI სს დარღვეული სამაროვნიდან მომდინარეობს. 1975 წელს ფუშრუკაულის სამაროვნის ტერიტორიაზე გზის სამუშაოებისას აღმოჩნდა კიდევ ერთი გრაფიკული დეკორით შემკული კოლხური ცული (კახიძე, 1975; მამულაძე, 1978:162-172; დავითაძე, 1979:32-37). მისი აღწერილობა ასეთია:სწორტანიანი, ყუამახვილი, სატარე ხვრელი წვეტიანი ოვალური მოყავნილობისა, გორდა ასიმეტრიული პირი, ტანი დაწახნაგებულია რელიეფური წიბურებით. ცულის ექვსივე წიბური შემკულია, ამათგან შუბლზე გამავალი წიბურები დაგარულია წიწვოვანი ორნამენტით, დანარჩენი ხუთი კი - პარალელური ხაზებით. ყურადღებას იქცევს წახნაგებისა და ორნამენტირებული წიბურების პროპორციული თანაფარდობა. კერძოდ,



სანამ შუბლის წიბურები ფართოა, წახნაგს წიწვოვანი ორნამენტი ამკობს, წიბურის შევიწროებასთან ერთად ორნამენტიც ვიწროვდება და დასასრულ პარალელურ ხაზებში გადაიზრდება.ცულის წელის არეს ფარავს რომბის ფორმაში ჩასმული პარალელური ხაზები. ცულის პირის ორივე მხარეს მოცემულია ძაღლის გამოსახულება. სახეზეა სრულისტილიზაცია. გამოსახულება ერთი შეხედვით ირმის ფიგურასაც უახლოვდება. გამოსახულებისთვის განკუთვნილი არის სრულად გამოყენების მიზნით ცხოველის სხეულის პროპორციები და ცალკეული ნაკვთები

იდეალიზებულ-სტილიზებულია. გამოსახულების სტილიზაცია, სქემატიზაცია და გეომეტრიზაცია თავის კულმინაციას აღწევს, ფიგურა ერთი შეხედვით მუდმივად მბრუნავი გეომეტრიული ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. თვით ფიგურის აღწერილობა ასეთია: ძაღლს აქვს გრძელი კუთხოვანი შემოწერილობის, ტანისაგან მობრუნებული თავი. პირი ფართოდაა გაღებული. დინგიანი ზედა ყბა სწორია, ძაღლის ზურგთან შეერთებული ქვედა ყბა კი სამკუთხა მოყვანილობისაა. ასევე სამკუთხედების სახითაა გადმოცემული ძაღლის ყურები, რელიეფური გულ-მკერდი და თათები. მოგრძო ტანი მკვეთრადაა ჩაზნექილი. მოხრილი ფეხები ერთმანეთისაგან საგრძნობლადაა დაშორებული. სწორედ ამის გამოც უკანა ფეხის ბარძაყი მუცლის შთაბეჭდილებასაც ქმნის. ტანი მთლიანად დაფარულია ერთმანეთის მიმართ პარალელურად განლაგებული ხაზოვანი ორნამენტით. ფიგურა უკუდოა. ერთ -ერთ ყურზე ისრისებური გამოსახულებაა მოცემული. შესაძლოა, ხელოსანმა ამას კუდის ფუნქცია მიანიჭა.

კოლხურ - ყობანურ კულტურაში ცნობილია სიუჟეტები, სადაც ცხოველთა, განსაკუთრებით ძაღლების კუდი ისრისებური გამოსახულებებით ბოლოვდება.

ცულის ორივე მხარეს მოცემულ სტილიზებულ ძაღლებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ შეინიშნება. ნიუანსები ჩანს მხოლოდ ზოგიერთი დეტალისმიხედვით. მაგალითად, ყურზე ისრისებური გამონაზარდი მხოლოდ ერთ მხარეზეა; პირი ნაკლებადაა დაღებული და ა.შ.

ფუშრუკაულის ცულზე სიუჟეტი შესრულებულია კოლხურ-ყობანური მხატვრული ხელოსნობის ძეგლებისათვის დამახასიათებელი ე. წ. „ცხოველური სტილით“, რომელიც გულისხმობს ცხოველთა გამოსახვას სტილიზებული მანერით (ფანცხავა, 1988:14).

ფუშრუკაულის მსგავსი კომპოზიციით შესრულებული ცულები აღმოჩენილია ხევში, ფსირცხაში, ეშერაში, ცხინვალში, თლის სამაროვანზე და ყობანში. დე-ბაის კოლექციიდან ცნობილია ანალოგიური ცული, რომლის აღმოჩენის ადგილი არაა დაზუსტებული. ლ. ფანცხავას მოსაზრებით, ეს ცულიც საქართველოში უნდა იყოს ნანახი(ფანცხავა, 1988:85). ჩვენს მონაპოვართან, გრავირების მანერის მიხედვით,

განსაკუთრებით ახლოს დგანან ხევის, ცხინვალისა და დე-ბაის კოლექციაში დაცული ცულები. აშკარად ჩანს, რომ ძველ კოლხურ ხელოვნებაში მოქმედებდა მხატვრული ხელოსნობის სხვადასხვა ცენტრი. ფუშრუკაულის ცულთან ახლოს მდგომ ცულებს შორის შესაძლებელი უნდა იყოს მხატვრული ხელოსნობის სტილისტური განვითარების გარკვეული საფეხურების გამოყოფა. ზოგადად ძაღლის გამოსახულებიანი ცულები სამ ჯგუფად იყოფა: I ჯგუფში ერთიანდება შედარებით ნაკლებსტილიზებული გამოსახულებიანი ცულები, II ჯგუფში - სტილიზებული მანერით შესრულებული ძაღლების გამოსახულებიანი ცულები, მათ შორის ფუშრუკაულის მონაპოვარიც. III ჯგუფის ცულებზე ძაღლების გამოსახულება შესრულებულია ნატურალისტურ სტილიზებული მანერით ცულის მთელ ზედაპირზე (ფანცხავა, 1988:79). ცული ქ. რამიშვილის ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებების კლასიფიკაციის II ჯგუფის III ქვეჯგუფშია (რამიშვილი, 2011:258)

ხიხაძირისა და ფუშრუკაულის ცულებზე ძაღლისა და გველის გამოსახულებანი უძველეს რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება. ძაღლის კულტი გამოისახება როგორც მფარველი სამეურნეო საქმიანობაში და დამხმარე ნადირობასთან დაკავშირებულ საქმეში. გველიც ტოტემურ ღვთაებათა რიცხვს განეკუთვნება. უძველესი ხალხების ერთ ნაწილს იგი ოჯახის მფარველ ღვთაებად მიაჩნია. ზოგიერთისთვის მიცვალებულთა სულია. გველის კულტი აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში დღესაც განაგრძობს არსებობას. სახლკართან ახლოს გველის მოკვლა ტაბუირებულია.

ასტრალურ-სიმბოლურ გამოსახულებებს უნდა წარმოადგენდეს ცულებზე დაცული წრეები, რომლებიც ზეცის ელემენტებს მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს გამოსახავენ. სამკაულის შემდგომი სახეობანი ზიგზაგები, სპირალები, ტალღისებური ხაზები წყლის გრაფიკული გამოხატულება უნდა იყოს.

სხალთისწყლის ხეობაში აღმოჩენილი მასალების მიხედვით ჩანს, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხეთის სხვა რაიონების მსგავსად, აქ მოსახლე ტომები ასულან ეკონომიკური განვითარების მაღალ საფეხურზე, რის საფუძველს ქმნის ლითონის წარმოება. საწარმო ძალთა პროგრესი შესაბამისად ასახულა აქაურ მკვიდრთა სულიერ კულტურაშიც.

$ 3. მეგალითური კულტურის ძეგლები

სხალთისწყლის ხეობაში წარმართული რწმენა-წარმოდგენების კვლევისთვის ყურადღებას იქცევს სოფ. კალოთაში (ადგილის ტოპონიმია ,,სერი“) აღმოჩენილი საკურთხეველ-სამსხვერპლო (ტაბ. III). ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1988 და 1990 წლებში. სამუშაოებმა დაადასტურა, რომ მეგალითური კულტურის ეს ძეგლი ღია ცის ქვეშ ტაროსის, ამინდის მარეგულირებელი ღვთაების საპატივცემულოდ აღუმართავთ მინიმუმ 3000 წლის წინ (მამულაძე, 1993:22; მგელაძე, 2007:215-227).

თავდაპირველად კალოთის სერის სამხრეთ ფერდობზე, საგანგებოდ მოუსწორებიათ სამშენებლო მოედანი. საკურთხეველ-სამსხვერპლო სამი - აღმოსავლეთ, დასავლეთისა და ჩრდილოეთ (შედარებით უკეთაა შემონახული) - კედლითაა წარმოდგენილი. კედლები დამუშავებული ქვებით ყოფილა ამოყვანილი, დღეს იგი საძირკვლის დონემდეა დანგრეული. რაც შეეხება სამხრეთ მონაკვეთს კედელი არ ფიქსირდება. როგორც ჩანს ეს ნაწილი ღია იყო და გამოიყენებოდა მისასვლელად.

ძეგლზე არტეფაქტები ჩრდილოეთ კედელთან დაფიქსირდა. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩადგმული იყო დამუშავებული ქვა, მის გვერდით ქვის ფალოსი (სიმაღლე 125 სმ), საკუთხეველ-სამსხვერპლოს იატაკზე აღმოჩნდა ფალოსის თავიც (სიმაღლე 40 სმ დიამეტრი 40-20 სმ). გვერდით ქვის კვადრზე მდგარი კერპი, ე.წ. ქვაკაცი; წაქცეული იდო საკურთხეველ-სამსხვერპლოს იატაკზე. აქვე შემორჩენილი იყო ოთხკუთხა მოყვანილობის ქვის ტრაპეზის ფილა (სიგძე 60 სმ, სიგანე 50 სმ, სისქე 20 სმ), რომელიც ერთი ბოლოთი შემოდგმული ყოფილა ჩრდილოეთ კედელზე, ხოლო მეორე ბოლოს ამაგრებდა ოთხკუთხა განივკვეთიანი სვეტი. ჩრდილოეთ კედლის დანარჩენ ნაწილს დასავლეთ კედლის დასაწყისამდე ავსებდა დიდი ზომის მახვილპირიანი ქვის ფილა (სიგრძე 115 სმ), მის წინ იატაკის დონეზე იდო ბრტყელი ქვა (სიგრძე 116 სმ, სიფართე 75 სმ).

საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევს მკვლევარებს კალოთის ქვაკაცი, რომელზეც ბასრი იარაღით გადმოცემულია წყლის ნაკადი. ამიტომაც

მიიჩნევენ, რომ ეს გამოსახულება ელვის სიმბოლიკასთანაა დაკავშირებული. როგორც წყლის ნაკადი, ასევე ელვის სიმბოლიკა ლაზარეს კულტს უკავშირდება. ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით აჭარის მთიანეთში ლაზარობა ტრანსფორმირებული სახით დღემდე შემორჩენილია. სხალთისწყლის ხეობის გარდა ქვაკაცები ფიქსირდება ჭვანისა და მარეთის ხეობებშიც. აქაური მოსახლეობა გვალვების დროს, ხშირ შემთხვევაში, გვერდს უვლიან როგორც ქრისტიანულ, ასევე მუსლიმანურ რელიგიებს და კერპის ახლო-მახლო ატარებენ ღვთაება ლაზარესადმი ვედრებისა და მსხვერპლშეწირვის რიტუალს. სწირავენ ცხოველს, ხორცს დიდი ზომის ქვაბებში ხარშავენ და ბოლოს ცერემონიას საფერხულო ცეკვებით ასრულებენ. ,,ქვაკაცებს ამსგავსებენ მეგალითური კულტურის სხვა ძეგლებს, კერძოდ, ვეშაპ-ვეშაპოიდებს (მგელაძე, 2007:215-227). ქვის ვეშაპოიდი აღმოჩენილი არის სოფ. ვერნებში. არტეფაქტი ინახება აჭარის მუზეუმის, ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში (ტაბ.III/2-3).

როგორც ჩანს, მაღალმთიანი აჭარის ბუნებრივი კლიმატური პირობები, კერძოდ, ზაფხულში ნალექების სიმცირე განაპირობებდა წყლის სიუხვეზე ოცნება-ვედრებისა და მსხვერპლშეწირვის სათანადო ცერემონიალის შესრულებას, რომელმაც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დღემდე გარკვეული ცვლილებებით მოაღწია ჩვენამდე.

მნიშვნელოვანია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, სწორედ კალთის აღმოჩენებით დაედო სათავე ამ ტიპის მეგალითური კულტურის ძეგლების კვლევას.

თავი II. სხალთისწყლის ხეობის შუა საუკუნეების თავდაცვითი და საგზაო ნაგებობები

$ 1. ხიხანის ციხე

წერილობითი წყაროების - ,,ქართლის ცხოვრებისა“ და ,,მატიანე ქართლისაის“ მიხედვით XI-XIII საუკუნეებში ხიხანის ციხე აჭარის ერისთავთ-ერისთავების, აბუსერისძეთა საგვარეულოს სარეზიდენციო ციხე-ქალაქს წარმოადგენდა. აბუსერ I აბუსერისძე XI საუკუნის შუა ხანებში ხიხათა ციხის მფლობელად იხსენიება (,,მატიანე ქართლისაი“). აბუსერისძეთა პირველი წარმომადგენლები მოიხსენებიან, როგორც ,,ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყვერის ციხისა პატრონი“ (ქართლის ცხოვრება, 1955. 300). აქედან გამომდინარე ძეგლის მკვლევარნი ხიხანის ციხის აგებას სწორედ აბუსერისძეთა გვარს უკავშირებენ (მამულაძე, 1993:48-49). წყაროების ცნობით ტბელ აბუსერისძის პაპებს აბუსერსა და სანონს ხიხანის ციხის შესანარჩუნებლად დახმარება საქართველოს მეფეებს თამარს და დავით სოსლანს აღმოუჩენია (სიხარულიძე, 1963).

სტრატეგიული თვალსაზრისით ციხე აგებულია მეტად მოხერხებულ ადგილზე. სხალთა-ხიხანის წყლის სათავეებში, აჭარა-შავშეთის საზღვარზე, ზღვის დონიდან 2235 მეტრზე (ტაბ. IV, V, VI), ციხის ფართობი თითქმის ორ ჰექტრამდეა. როგორც თედო სახოკია შენიშნავდა ციხე ,,წარმოადგენს განმარტოებულ და წოწოლა კლდეს, სამივე კუთხივ მახლობელ მთებიდან ხრამებით მოშორებულს და მოუვალს“ (სახოკია. 1985:187). მართლაც ციხე ყველა მხრიდან მიუდგომელია. ერთადერთი, ისიც, საკმაოდ რთული მისადგომი ქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან. აქედან კარგად ჩანს აჭარის ხეობები მთიანეთიდან ზღვის სანაპირო ზოლამდე. სხვა ციხეებთან ერთად (ვარციხე, ციხისყელი, წაბლანა, ჩანჩხალო, კავიანი, ჭვანა, დანდალოს ციხე, ზესოფელი, საღორეთი და სხვა) ქმნიდა აჭარისწყლის ხეობის ერთიანი თავდაცვითი სისტემის უწყვეტ ჯაჭვს და აკონტროლებდა სხვადასხვა მიმართულებით დაქსელილ საქარავნო გზებს, მათ შორის უმთავრესი იყო სამი. ერთ-ერთი მათგანი სოფ. ბაკოს შემდეგ ციხისძირში გაივლიდა და სამცხე-ჯავახეთისკენ გრძელდებოდა. მეორე ციხისძირი, ბაკოს, საიჩაირის, ჩირუხის გავლით იმიერხევ-შავშეთ-კლარჯეთისაკენ

მიდიოდა. მესამე კი - ახალციხე - არტანიდან გამომავალი სხალთა - აჭარისწყლის ხეობის დაყოლებით ზღვისპირეთისაკენ (მამულაძე, 1993; 2000).



ხიხანის ციხის გეგმა და ჭრილები (XI - XIII სს.)
Plan and sections of khikhani fortress (XI - XIII cc.).

ციხეზე შემორჩენილი ძირითადი ნაგებობიდან აღსანიშნავია: აღმოსავლეთ ნაწილში არსებული ოვალური მოყვანილობის ზღუდის კედლები; კვადრატული გეგმის რამდენიმე სართულიანი ოთხი კოშკი; დარბაზული ეკლესია, მოზრდილი სასახლე; მარანი; ჭა (თუ დილეგი). ჩამოთვლილი ძეგლები ციხის თავდაპირველი მშენებლობის პერიოდს განეკუთვნება და ზოგადად XI-XIII საუკუნეებით თარიღდება. გვიანდელი შუასაუკუნეებისაა სასახლის ინტერიერში ჩაშენებული და სასახლის აღმოსავლეთ კედელზე გარედან მიდგმული ბუხრიანი ნაგებობები; გვიანდელია N1 და N2 კოშკს შორის არსებული მშრალი წყობით ნაგები სათავსი; აგრეთვე ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე და N4 კოშკის აღმოსავლეთით მდებარე ბუხრიანი შენობები. მისი მხოლოდ მცირე ნაწილია მოვაკებული. დანარჩენი დამრეც და ციცაბო ფერდობზეა განლაგებული. ჰქონია ქვის გალავანი. ალაგ-ალაგ გადარჩენილი კედლების სიმაღლე 5-6 მ-ს აღწევს, სისქე 90-95 სმ-ია. გალავანის კედლები კლდის გარე კიდეებზეა მორგებული, ამიტომაც მისი გეგმა ძირითადად რელიეფს მიუყვება. ამჟამად გალავნის კედლები ბევრგან დაზიანებულ-ჩაქცეულია. ციხის 4 კოშკიდან პირველი მდებარეობს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მისასვლელი გზის

მარცხენა მხარეს კოშკი საგრძნობლადაა დაზიანებული. შედარებით უკეთესად გადარჩენილია მისი აღმოსავლეთ კედელი. კოშკი ორსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. მეორე კოშკი პირველისგან 45 მეტრითაა მოშორებული, გადარჩენილია დასავლეთისა და ჩრდილოეთის მაღალი კედლები, დანარჩენი საძირკვლამდეა მორღვეული. კედლებში დატანებულია სათვალთვალო სარკმლები, ხის კოჭებისათვის განკუთვნილი ბუდეების მიხედვით ჩანს რომ ეს კოშკი სამსართულიანი ყოფილა (ზომები: 4,5X3,8მ-ზე).

მესამე, რამდენიმე სართულიანი კოშკი (ზომები 4,8X4,2 მ-ზე), მეორედან 185 მეტრითაა დაშორებული. ესეც ოთხკუთხა შემოწერილობისაა. გადარჩენილია დასავლეთი და სამხრეთი კედლები.

უკეთესადაა შემონახული მეოთხე კოშკი. იგი სამ სართულიანია. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გაჭრილი შესასვლელი კარი 3 მ-ის სიმაღლეზეა დაცული. როგორც ჩანს, აქ იყენებდნენ ასაწევ კიბეს (ზომები 5X4,5 მ-ზე). საკუთრივ ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე ბევრგან შეინიშნება სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ნაშთების არსებობა, რომელთა ფუნქციასა და კონსტრუქციების შესახებ საუბარი ჭირს (კახიძე, მამულაძე, 2016:85-86).

არქეოლოგიური სამუშაოები (ექსპედიციის ხელთ პროფ. დ. მინდორაშვილი) ძეგლის ტერიტორიაზე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით 2013 წლიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება (მინდორაშვილი, 2017).

გათხრების შედეგად აღმოჩდა როგორც განვითარებული ისე გვიანშუასაუკუნეების ნაგებობათა ნაშთები. ციხის თანადროული ნაგებობებიდან გაითხარა სასახლე - (ციხის ქვედა ტერასა), სწორკუთხა (15,70 X 8,70 მ. 90-100 სმ სისქის კედლები ნაშენია კლდის ფლეთილი ქვებით, კირხნარზე), შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 3,80 მ-ია. სასახლე ერთ სართულიანია. ჰქონდა ორი კარი, ერთი მათგანი მდებარეობს სასახლის დასავლეთი კედლის სამხრეთ კუთხეში. მეორე - აღმოსავლეთი კედლის სამხრეთ კუთხეშია, გათხრების დროს სასახლის ცენტრალურ ნაწილში სახურავის საყრდენი ბაზის სამი ნაშთიც დაფიქსირდა (მინდორაშვილი, 2015:132-148). სახლის იატაკი მთლიანად კირხნარის 2 სმ სისქის ფენით ყოფილა დაფარული. კირხნარითვე

უნდა ყოფილიყო შელესილი სასახლის ინტერიერი. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩდა კვადრატული გეგმის (3,50X2,40 მ) შემაღლება - ტახტი, რაც უნდა წარმოადგენდეს სასახლის მფლობელთა მოსასვენებელ თუ დასასვენებელ ადგილს. გვიანდელ შუასაუკუკეებში ნაგებობის ინტერიერში ახალი შენობაც გაუმართავთ. წერილობითი წყაროების მონაცემების გათვალისწინებით, სასახლე თუ უფრო ადრე არა, XI საუკუნეში მაინც უკვე აგებული ჩანს (მინდორაშვილი, 2015:132-148).

2013 წელს ციხის ტერიტორიაზე გაითხარა საეკლესიო ნაგებობაც, რომლის შესახებ ზემოთ გვექნება საუბარი.

2014 წელს ციხის ტერიტორიაზე გაითხარა მარანიც (ტაბ.V). სულ აღმოჩნდა 28 ქვევრი. სწორკუთხა მარნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ქარაფშია ჩაქცეული. ამავე მხრიდან უნდა ჰქონოდა შესასვლელიც. კედლები შემორჩენილია 1,5-2 მ სიმაღლეზე, სისქე 60-70 სმ-ია. მარანი ნახევრად მიწური ნაგებობა ყოფილა. 2015 წელს მეორე მარანში 43 ქვევრი აღმოჩნდა (მინდორაშვილი,2015:132-148). აჭარისწყლის ხეობაში მარნების ნაწილი (თხილვანა, ვერნები, ხიხაძირი, კალოთა, ხიხანი) აღმოჩენილია მთის ზონაში, სადაც ვენახი არ ხარობს. უნდა ვიფიქროთ, რომ აჭარის ერისთავთ-ერისთავებს ბარში ჰქონიათ მამულები, სადაც ხდებოდა ვაზის მოშენება და ყურძნის დაწურული წვენის ატანა ამ ადგილებში. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ ,,ტკბილს მოიტანდნენ ბარიდან ჩასხამდნენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“. ასეთივე სურათი ისახება საქართველოს სხვა კუთხეების მიხედვითაც (მინდორაშვილი, 2015:132-148).

ციხის ტერიტორიაზე გვიანშუასაუკუნეების სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებიც აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ხიხანის ციხეს მომდევნო ეპოქებშიაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. იგი კვლავაც წარმოადგენდა არაერთი სისხლისმღვრელი ომის ასპარეზს, აქ აღასრულა თავისი სიცოცხლე სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილმა. 1815 წელს აზრუმის სერასკილი ბაბა-ფაშა ფეჰლევანი 15000 ჯარისკაცით ჩავიდა ახალციხის საფაშოში, გამოყო 6000 რჩეული ჯარისკაცი და ალყა შემოარტყა ხიხანის ციხეს, სადაც ახალციხიდან გაძევების შემდეგ თავი შეაფარა ოჯახთან ერთად სელიმ ფაშამ. ოტომანთა პორტას წინაღმდეგ ამხედრებულ სელიმ

ხიმშიაშვილს თავი მოჰკვეთეს. სიკვდილის წინ მან ამაყად განაცხადა: მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებო (მინდორაშვილი,2015:132-148; კახიძე, მამულაძე, 2016:87).

$ 2. ციხისყელი-ვარდციხე

ციხისყელი მდებარეობს სოფ.ხიხაძირის დასავლეთით 1 კმ-ზე, მდე. კალოთისა და ხიხანის წყლის ხერთვისთან მდებარე მაღლივ კლდეზე. ,,ციხისყელის“ ნაგებობათა ანსამბლის არქიტექტურული მთლიანობა მის რთულ რელიეფთანაა დაკავშირებული (ტაბ.VII/1), შესაბამისად წარმოადგენს საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების გარემოსთან შერწყმის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს.

ყურადღებას იქცევს მისი გეგმის მოხაზულობა, რომელსაც წაგრძელებული ფორმა აქვს და შესანიშნავადაა მორგებული გორაკის თხემზე. ნაგებობა ბორცვის დამხრობის შესაბამისად სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენაა მიმართული. ,,ციხისყელის“ გეგმის კომპოზიციას ფაქტიურად გალავნის მოხაზულობა განსაზღვრავს გალავნის კედლები და კოშკებიც ეპოქისთვის დამახასიათებელი წყობით, ნამტვრევი ქანებისაგან თუ რიყის ქვებისაგანაა ნაშენები დუღაბზე. გალავნის კედლის სისქე სხვადა სხვა ზომისაა და მერყეობს 0,8-1,5 მ-ს შორის. I სათავსო საკმაოდ დიდი ზომისაა, დაშენებულია კლდის თხემზე. ციხის მთლიან კომპლექსში იგი ყველაზე კარგადაა დაცული და ამავე დროს მიუვალიცაა. მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის მნიშვნელოვანი ნაწილი საძირკვლითურთ ჩამონგრეულია მიუხედავად ამისა ფრიალო კლდეების გამო ერთგვარად მაინც შეუღწევადი რჩება, ნაგებობის სმხრეთი ნაწილი კლდის თხემის შესაბამისად ნახევარწრისებრი ფორმისაა. აქედან ჩრდილოეთისაკენ ვერტიკალურად ეშვება ოდნავ გარეთგაწეული 11 მეტრი სიგრძის კედლები, რომლებიც 5 მ სიგრძის განივი კედლით იკვრება. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1,9 მ აღწევს, სისქე 0,8-1 მ-ს. ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა პატარა ზომის (3,5X3 მ) ეკლესიის ნაშთები. მონაპოვრების მიხედვით ჩანს, რომ იგი შიგნიდან მოხატული ყოფილა. მოხატულობის ზოგიერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ნაშთები. II სათავსო წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობისა (4X6 მ), ორსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. ქვედა სართული ჩვეულებრივ გამოყენებული იყო მარანისთვის, ზედა კი თავდაცვისთვის ან საცხოვრებლად. კედლების სიგანე სხვადასხვაა. პირველ სართულზე აღმოჩნდა მარანი, შევისწავლეთ 8 ქვევრი. ციხის კომპლექსში მესამე

ნაგებობაა კოშკი. იგი შიდა ციხის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობს. სწორედ ამ მონაკვეთიდან ციხე რელიეფის შესაბამისად მკვეთრად ეშვება ქვემოთ. კოშკი დაფუძნებულია მკვეთრად დახრილ კლდეზე, იატაკი მოსწორებულია ქვიშაქვის ნატეხების ყრილით. იგი ნახევარწრისებური ფორმისაა. დასავლეთი მხრიდან შიდაციხის II და III სათავსოებს გასწვრივ ეკვრის საკმაოდ მოზრდილი (7X3,5 მ) ნაგებობა. ქვედა ციხის ტერიტორიაზე განლაგებულია ორი სათავსო. მათგან მეექვსე სათავსო (8,6X6,5 მ) სწორკუთხა მოყვანილობისაა. მისი იატაკი მეშვიდე სათავსოს იატაკის დონეზე 2,5-3 მ-ით მაღლა მდებარეობს. მეექვსე და მეშვიდე სათავსოების სამხრეთ კედლებს დატანებული აქვთ სამი ნიშ. დერეფნიდან VII სათავსოში შეღწევა შეიძლებოდა VI სათავსოს გავლით. VII სათავსოში (12X5,5 მ) გამოვლინდა თონე და ერთი კერა. VIდა VII სათავსოები იყო ურთიერთთან დაკავშირებული 0,8 მ სიგანის კარით. VI სათავსოში აღმოჩნდა ორი მარანი - 9 ქვევრი.



საინტერესო კერამიკული თუ სხვა ხასიათის ნაკეთობანი. ძეგლი XI საუკუნით თარიღდება (მამულაძე, 1993:40-46; კახიძე, მამულაძე, 2016:87-88)

ვარდციხე აშენებულია ხიხანისა და კალოთის წყლების ხერთვისში შემაღლებულ ბორცვზე. იგი ციხისყელისაგან 150 მეტრითაა დაშორებული (ტაბ. VII/2). აქვს

წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობა. ჩრდილოეთი კედელი დაზიანებულია. შუა წელი ამჟამად 3,8 მ სიგრძეზეა ჩაქცეული. გალავნის დასავლეთი კედელი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. სიმაღლე 0,8-2,5 მ- ია. შედარებით უკეთესადაა გადარჩენილი გალავნის აღმოსავლეთი კედელი - სიმაღლე 4,5-7 მ; სიგანე 0,75 – 0,8 მ. კედლის ცენტრალულ მონაკვეთში გაჭრილია ციხის კარები. ვარციხეს ჰქონია ორი ნახევარწრისებური მოყვანილობის კოშკი. I მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. ზემოდან დასცქერის კალოთის და ხიხანის წყლების ხერთვისს. მისი ზედა ნაწილი მონგრეულია. შემორჩენილი სიმაღლე 5-6 მ-ია. იგი ორსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. II კოშკი მდებარეობს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ესეც დაზიანებულია. დაცული სიმაღლე 4-5 მეტრია. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გალავნის კედლების კვეთაში დატანებულია ნახევარწრისებური ფორმის კონტრფორსი. ციხეს ემჩნევა მოგვიანებით აღდგენა - გადაკეთების კვალი, მეორე კოშკის გარე კედლებიც წყობაში აქა იქ გამოყენებულია სხვა ნაგებობათა ნანგრევებიდან მოტანილი არქიტექტურული დეტალები, მათ შორის ორნამენტირებულიც. XI-XIII სს თარიღდება (მამულაძე, 1993:46-48; კახიძე, მამულაძე, 2016:88).

მეტად მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობის გამოვარციხე-ციხისყელის სასიმაგრო კომპლექსის ძირითადი დანიშნულება უნდა ყოფილიყო ხიხანის თუ კალოთის წყლების ხეობებიდან სხალთისწყლის გავლით აჭარისწყლის სიღრმეში ერთი მხრივ ზღვისპირეთისაკენ მიმავალი, თუ მეორე მხრივ ხიხანისწყლით ხეობის სამცხე-ჯავახეთისაკენ, ასევე კალოთის წყლის ხეობით ჩირუხ, იმიერხევ, შავშეთით არტანუჯისკენ მიმავალი დაქსელილი გზების გაკონტროლება.

$ 3. ფურტიოს თაღოვანი ხიდი

მდინარე აჭარისწყალზე, სხალთისწყლის შესართავთან, სოფ. ფურტიოში აგებულია თაღოვანი ხიდი, რომელსაც ადგილობრივები თამარის რიდს უწოდებს. მისი ბურჯები კლდოვან ქანზეა დადგმული. ხარაჩოებისათვის დატანილი აქვს ოთხკუთხა

ფოსოები. საპირე ქვები კარგად დამუშავებულია, სვალ ნაწილზე დაფენილია ქვის ფილები.ხიდის სიგრძე 19,7 მ, სიგანე 2,2 მ, თაღის სისქე 60 სმ, სიმაღლე წყლის დონიდან 6 მ (კახიძე, მამულაძე, 2016:111, ტაბ. 195).

თავი II. სხალთისწყლის ხეობის ნაეკლესიარები

$ 1.სხალთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი

სხალთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი ერთ-ერთი, შედარებით სრულყოფილი სახით ჩვენამდე მოღწეული ძეგლია აჭარაში. ნაგებობები მდინარის მარჯვენა მხარეს მთის ფერდის მოვაკებულ ტერასაზეა განლაგებული. ეზოს გალავანი ფრაგმენტულადაა გადარჩენილი.

სხალთის ტაძარი დარბაზული ტიპის ნაგებობაა (ტაბ. VIII/1), აღმოსავლეთიდან გამოწეული შვიდწახნაგა საკურთხეველი სამხრეთისა და დასავლეთის შემდგომი მინაშენებით. ნაგებობის შიგნით შექმნილია ორგვარი სივრცე: დარბაზისა და საკურთხევლის - აფსიდური მომრგვალებით. საკმაოდ მოზრდილი დარბაზული ნაწილი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის დაგრძელებული. ამ მიმართულებითვე არის გადახურული ნახევარწრიული კამარით. ნაგებობის გრძივი კედლები სამშვერილიანი პილასტრებითაა დანაწევრებული. კედლი და მძლავრად გამოწეულ პილასტრებს კედლისა და კამარის საბრჯენი თაღები ეყრდნობა. თაღების ზემოთ პილასტრების იმპოსტების დონეზე ვიწრო სარტყელია გავლებული. უკუნასკნელი აფსიდაზეც გადის. თაღის მალებში კარები და სარკმლებია გაჭრილი. აქვეა გამართული ფართო ღრმა ნიშები. სამხრეთის კედლის შუა მალში მაღალი და ფართო კარია გაკეთებული. ორ განაპირა მალში კი მაღალი სარკმლებია მოთავსებული. დასავლეთის მალის ქვედა ნაწილი თაღოვან ნიშს უკავია, რომელიც საკუთარი მცირე სარკმელით ნათდება.

ჩრდილოეთის კედლის გადაწყვეთა ზოგადად ემსგავსება სამხრეთისას. შუა მალი ხაზგასმულია ზევით მაღალი სარკმელით, ხოლო ქვევით - ფართო ნიშით. განაპირა მალებში აღმოსავლეთის მცირე კარია მოთავსებული, ხოლო დასავლეთით დიდთაღოვანი ნიშა, რომლის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში დამატებით მცირე ნიშებია გამოყვანილი. ტაძრის საკურთხევლის ნაწილი გამოყოფილია დამატებითი განიერი თაღით, რომელიც სქელ მძიმე წაკვეთილ პილასტრებს ეყრდნობა. აფსიდის სამი თანაბარი სიდიდის სარკმლები მოთავსებულია

ერთ დონეზე. მათ ქვემოთ სამი ნიშაა, რომელთაგანაც შუა შედარებით დიდია. მარჯვენა ნიშას ჩუქურთმებით დაფარული ერთი ქვა აქვს ჩაყოლებული, რ. მეფისაშვილის აზრით, სხა ძეგლს ეკუთვნოდა და მშენებლობის დროს ყოფილა გამოყენებული. ასეთი მოჩუქურთმებული ქვები ჩაყოლებულია ძეგლის კედლების სხვადასხვა ადგილას. განსაკუთრებით საინტერესოა ჩრდილოეთი ფასადის კედელში ჩატანებული ასევე მოჩუქურთმებული სხვა შენობების ქვა, რომელსაც X-XI საუკუნეებით





ათარიღებენ (მამულაძე, 1993:73-82; კახიძე, მამულაძე, 2016:95-96).

აფსიდის გვერდით ნაწილებში სამხრეთითა და ჩრდილოეთით მოთავსებული მცირე კარები განკუთვნილია პატარა სადგომებისათვის. ნიშაში სამხრეთი კარის ზევით მცირე ზომის კარია გამართული. როგორც ჩანს აქაც საგანგებო სათავსოა მოწყობილი, სავარაუდოდ სამალავის დანიშნულებით. დარბაზული სივრცის დიდი ნაწილი დახურულია მაღალი ორქანობიანი სახურავით. აფსიდა კი უფრო დაბალი კონუსისებური სახურავით. მინაშენს აქვს ცალკე გადახურვა. სახურავ მასალად, როგორც ეს არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო გამოყენებული იყო კარგად დამუშავებული ქვის ლორფინები. ძეგლი დადგმულია ორ საფეხურიან ცოკოლზე, კედლებს აგვირგვინებს რთული პროფილირებული კარნიზი. ფასადების დიდი გლუვი სიბრტყეები მხოლოდ კარ-სარკმლების ჩუქურთმიანი საპირეებით არის მორთული. მათ შორის ყველაზე მდიდრულია სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადები.

სამხრეთის ფასადის კომპოზიცია სწორკუთხა კედლებშია გაშლილი ფასადის ცენტრში მოთავსებულია ფართო, მაღალი კარი, რომელსაც ირგვლივ სწორკუთხა მოჩუქურთმებული საპირი უვლის. აქეთ-იქეთ კარის მიმართ სიმეტრიულად განლაგებულია ორი სარკმელი. ძეგლის დასავლეთი ფასადი არის სადა. იგი რამდენიმე მეტრითაა დაშორებული ზღუდის კედელსა და ხრამს, რის გამოც ფასადი მოკლებულია ხედვის არეს. ფასადის ცენტრში მოთავსებულია კარი, მის ზემოთ კი სამი სარკმელი. მათგან შუა უფრო მაღალია. ვიდრე გვერდებისა, ფასადზე დეკორაციულად გაფორმებულია მხოლოდ კარი. მისი საპირე ზემოდან თაღოვანი მოყვანილობისაა.

ჩრდილოეთის ფასადი დღეს ყველაზე მეტადაა დაზიანებული. მას შემორჩენია საპირე ქვები. ნაწილიც რესტავრაციის შემდეგ დაემატა. ჰქონდა თუ არა რაიმე მოხატულობა, ძნელი სათქმელია. ტაძრის სამხრეთი კარიბჭე, რომელიც მიჯრით არის მიშენებული გვიანდელი ხანისა უნდა იყოს. ჩანს, თავდაპირველად კარიბჭე ფასადის მთელ სიგრძეზე იყო გაჭიმული და სამი ნაწილისაგან შედგებოდა. შუა ნაწილი გვერდით სადგომებთან ღია თაღებით იყო დაკავშირებული. დღეს სამნაწილედი ნაგებობებიდან შემორჩენილია მხოლოდ შუა ნაწილი, რომელიც გუმბათითაა გადახურული. მშენებლობის ტექნიკა და დეკორაციული ელემენტების განსხვავებული

სახეები ადასტურებს, რომ კარიბჭე მიშენებულია რამდენადმე უფრო გვიან, როგორც კარიბჭის შიგნით მოთავსებული ტერიტორიის გათხრებმა დადასტურა. ისინი გამოყენებული იყო სამარხებისათვის. პროფ. რ. მემფისაშვილს ფართოდ აქვს განხილული ძეგლი აარქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით. აქვე მოაქვს შესაბამისი მდიდარი პარალელული მასალები და სხალთის ტაძარს XIII ს I ნახევრით ათარიღებს. რაც შეეხება კარიბჭეს XIII-XIV სს მიჯნაზე თვლის მიშენებულად (მამულაძე, 1993:79).

სხალთის მცირე ეკლესია მდებარეობს დიდი ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან (ტაბ.VIII/2). ძეგლზე გათხრითი სამუშაოები უშვალოდ პატარა ზომის ეკლესიის ტერიტორიაზე იქნა დაწყებული. ზედაპირიდან 50-60 სმ-ის სიღრმეზე თავი იჩინა სამარხებმა, რომლებიც განლაგებული იყო როგორც ეკლესიის შიგნით, ისე მის გარეთ,, - ოთხივე მხარეს. პატარა ეკლესია რომელიც საკმაოდ მაღალი გემოვნებით იყო ნაგები, დროთა განმავლობაში დანგრეულა, რამდენიმეჯერ აღუდგენიათ თუ შეუკეთებიათ. ამჟამად დარჩენილია მხოლოდ საძირკველი, ცოკოლი და კედლის წყობის რამდენიმე რიგი, კედლის დანარჩენი ნაწილი და გადახურვა ჩაქცეული იყო ეკლესიის შიგნით. შესანიშნავად დამუშავებული ქვების დიდი ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობას გაუზიდია და გამოუყენებია სახლების მშენებლობისას თუ ბუხრების გამართვისას.

ეკლესია გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხედს აღმოსავლეთისაკენ გაზიდული აფსიდით. აფსიდი კედელშია ჩასმული. მისთვის საგანგებოდ მოუმზადებიათ საძირკველი. ფართო გაზიდულ საძირკველზე დაშენებულია ერთსაფეხურიანი ცოკოლი. ეს უკანასკნელი ნაგებია შესანიშნავად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვებისაგან. ცოკოლზე აღუმართავთ საკმაოდ სქელი (60 სმ) კედლები, რომელთა გარეთა და შიგა პირი მოპირკეთებულია გათლილი, კარგად დამუშავებული მოზრდილი კვადრებით. შედარებით უკეთ იყო დაცული სამხრეთი, ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლის ნაშთები. კედლის პერანგებს შორის სიცარიელე შევსებულია კირხსნარითა და ქვა-ხიდით. ეკლესიას თავის დროზე ჰქონდა ერთი შემოსასვლელი სამხრეთიდან, მაგრამ ტაძრის აშენების შემდეგ, როდესაც მან დაკარგა თავისი

ძირითადი ფუნქცია, ადრინდელი კარი ამოუშენებიათ და გაუჭრიათ ახალი, ჩრდილოეთიდან. აქედან კარის არსებობა უფრო პრაქტიკული იყო. ტაძრიდან გამსვლელი პირდაპირ უშვალოდ მოხვდებოდა მცირე ეკლესიაში. ეკლესიას სამხრეთით, მთელ სიგრძეზე, ჰქონდა მინაშენი, რომელიც საძირკვლის დონემდეა დანგრეული. იგი აჭარის წყლის ხეობის სხვა მსგავსი თანადროული ძეგლების მინაშენების მსგავსად გამოუყენებიათ მიცვალებულთა დასაკრძალავად.

სხალთის მცირე ეკლესია, როგორც ეს კარგად დაცული მსგავსი ძეგლების მიხედვითაც ჩანს, გადახურული უნდა ყოფილიყო ორქანობიანი სახურავით. ხოლო გვერდით მინაშენი კი ცალქნობიანით. სახურავად აქაც გამოყენებულია კარგად დამუშავებული ქვის ლორფინები. ძეგლის გათხრებისას მცირე რაოდენობით გამოჩნდა ხუროთმოძღვრული დეტალებიც: საწვიმარი ღარების, სარკმლის საპირების, თაღის ნახევარწრიული მთლიანი ნიმუშები თუ ნატეხები. აქედან წაღებული ორნამენტირებული ქვების დიდი ნაწილი გამოყენებული ჩანს სხალთის ტაძრის კედლის წყობაში (მამულაძე, 1993:79-82).

მარანი, რომელიც გზის პირას ტაძრიდან მოშორებით მდებარეობს, სწორკუთხა ფორმის მოზრდილი ნაგებობაა. შესასვლელი მარანს სამხრეთი მხრიდან აქვს, მისი შიდა გადახურვა კამაროვანია. აქ დღესაც ინახება ძველი საწნახელი და მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრები. სხალთის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი მცირე ეკლესიის მახლობლად შუასაუკუნეებშივე გაჩნდა სასაფლაო, რომელიც რამდენიმე ასეული წელი ფუნქციონირებდა (ტაბ.168/2). სამარხთა ოთხი ძირითადი ტიპი გამოვლინდა: ორმო სამარხები, ამოშენებულკედლიანი სამარხები, ქვის სამარხები და აკლდამა (მამულაძე, 1993:81; კახიძე, მამულაძე, 2016:95-96).

$ 2. თხილვანის ნაეკლესიარი

მდებარეობს სხალთისწყლის ხეობის სათავეში, სოფლის გამოღმა თხილვანაში, ციხე-ქალაქიდან 5 კმ-ის დაშორებით. წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას (13X12 მ). შუა ნაოსი გვერდით ნაოსებთან შედარებით თითქმის ორჯერ განიერია.



ტაძარს სწორკუთხა მოხაზულობა ჰქონია, ეკლესიას ორი შესასვლელი: ერთი სამხრეთის, მეორე - დასავლეთის მხრიდან. გათხრების დროს აღმოჩნდა პილასტრები, როგორც ჩანს ისინი დატანებული ჰქონდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებს. მათზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი კამარის საბჯენი თააღები.

ნაგებობის დარბაზული ნაწილი გადახურული იქნებოდა ორფერდა, ხოლო გვერდითი ნაწილები-ცალქანობა სახურავით. სახურავ მასალად გამოყენებული იყო კარგად გათლილი ქვის ლორფინები. თხილვანის ეკლესიისათვის საგანგებოდ მოუმზადებიათ საძირკველი. ბალიშებად 1,5-2 მ სიფართის ქვებია ჩასმული. მასზე დაშენებულია საკმაოდ ფართო (1-1,2 მ) ორსაფეხურიანი ცოკოლი, რომელიც ნაგებია შესანიშნავად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვებისაგან. ცოკოლზე აღმართული იყო საკმაოდ სქელი (სისქე 85-90 სმ) კედლები. მათი როგორც გარეთა, ისე შიდა ზედაპირი მოპირკეთებული იყო მოზრდილი კვადრებით. კედლის პერანგებს შორის სივრცე შევსებულია კირხსნარისა და ნატეხი ქვით. ყურადღებას იქცევს აქვე ადრე აღმოჩენილი ეკლესიის ტიმპანის ქვა, იგი წარმოადგენს თაღოვანი ფორმის ფილას, რომელსაც ჰორიზონტალურად განთავსებული შვიდსტრიქონიანი წარწერა და ორნამენტური არშია მიუყვება. ტიმპანის ჩუქურთმა კონცენტრული წრეებისა და ზოლისებური ფოთლის მოტივებისგან შედგება. ორნამენტის ეს სახე ძირითადად X-XII საუკუნეებშია გავრცელებული და XI საუკუნის შუა ხანებიდან თითქმის აღარ გვხვდება.

ტაძრის სამხრეთითა და აღმოსავლეთით გაითხარა 35 ორმოს ტიპის სამარხი. უმრავლესობა ინვენტარიანია. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. წერილობითი, ეპიგრაფიკული, არქიტექტურული და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ თხილვანის ეკლესია X-XI საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული (მამულაძე, 1993:87-89; კახიძე, მამულაძე, 2016:86).

$ 3. კალოთის ნაეკლესიარი

სოფელ კალოთაში, ადრიდანვე ყურადღებას იქცევდა X-XI სს ეკლესიის ნაშთები (ტაბ. XIII), იგი მდებარეობს სოფლის ბოლოს მაღალ ტერასაზე. აქედან კარგად მოჩანს მთლიანად სოფელი. ეკლესია სტრატეგიული თვალაზრისით ისეთ მოხერხებულ ადგილზეა აგებული, რომ მას საფორთიფიკაციო-სასიგნალო ფუნქციის შესრულებაც შეეძლო. ყურადღებას იქცევს ეკლესიასთან ახლოს, ხევის კანიონის თავზე მდებარე ქვის უზარმაზარი ლოდი, რომლის ზედაპირზე რამდენიმე ადგილას სასიგნალო კოცონების ხშირ დანთება-ჩაქრობას ღრმა ფოსოები წარმოუქმნია. ეს ადგილი ბევრი ისტორიული მოვლენის მომსწრეა. აქაური მკვიდრნი ამ ადგილს ,,კალოს“ უწოდებენ. არაა გამორიცხული, რომ აქედან წარმოსდგა თვით სოფლის სახელწოდება ,,კალოთა“. ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი, აბსიდის მხარე მთლიანადაა გადარჩენილი სახურავიანად. გასული საუკუნის 40-50 წლებამდე უკეთ ყოფილა შემონახული მისი დანარჩენი ნაწილებიც, რომლებიც ახლა საძირკველის დონემდეა დარღვეული. გადარჩენილი კედლის ფოსოების მიხედვით ჩანს, რომ თავის დროზე კალოთის ეკლესია შესანიშნავად დამუშავებული და ალაგ-ალაგ ჩუქურთმებით შემკული ქვათლილებით ყოფილა მოპირკეთებული, ხუროთმოძღვრული კომპლექსის გათხრებისას ჩნდებოდა ორნამენტირებული ქვების, კარნიზის ნატეხები. ერთ-ერთ მათგანზე რამდენიმე ასოსგან შედგენილი ქართული წარწერაც იყო დაცული. გათხრებით დადგინდა, რომ აფსიდა ეკლესიის იატაკის საერთო დონეზე მაღლა მდებარეობდა. საკურთხეველი და ნაოსი 15-20 სმ-ია სისქის დუღაბით იყო დაფარული.

მცირე მაშტაბის საველე სამუშაოები განხორციელდა ეკლესიის ეზოს აღმოსავლეთ და სამხრეთ მონაკვეთებზე. როგორც მოსალოდნელი იყო, აქ აღმოჩნდა ინდივიდუალური და კოლექტიური სადა ორმოსამარხები და ქვის სამარხები . გამოიყოფა სამარხების ორი დონე. მიცვალებულთა ნაშთები ჩნდებოდა 30-40 სმ-ის მიწის ფენის აღების შემდეგ. მეორე დონის სამარხები უფრო ღრმად იყო ჩაჭრილი. 1988 წელს გაითხარა 18 სამარხეული კომპლექსი, 1989 წელს კი 10. ზოგიერთ მათგანში 10-ზე მეტი მიცვალებულის ნეშტის არსებობა დადასტურდა. კოლექტიურ სამარხებში

ჭირისუფალნი ადრინდელ მიცვალებულთა ძვლებს ერთად აგროვებდნენ და სამარხის კუთხეში ტოვებდნენ. ახლად გარდაცვლილს კრძალავდნენ ჩვეულებრივ ქრისტიანული წესით - გაშოტილნი, გულხელდაკრეფილნი, თავით დასავლეთისაკენ. ზოგიერთ მათგანს პირზე დერგისა თუ დოქის ნატეხი ჰქონდა დაფარებული. ხშირი ყოფილა ბაუშვთა სიკვდილიანობა (მამულაძე, 1993:90).



აჭარისწყლის ხეობის სხვა სამაროვნების მსგავსად კალოთაში აღმოჩენილია მთლიანად დაცული თიხის ჯამები, სასმისები და სხვა სახის ნაწარმთა ფრაგმენტები. ცნობილია, რომ ქრისტიანობამ აკრძალა სამარხეულში ინვენტარის ჩატანების რიტუალი, მაგრამ წარმართული რელიგიის ნაშთები დიდხანს, დღემდე შემორჩა მაღალ მთიან აჭარაში(მამულაძე, 1993:90).

კალოთის ექსპედიციის წევრთა ყურადღება მიიქცია ეკლესიასთან ახლომდებარე ბორცვმა, რომელსაც კონუსისებური მოყვანილობა აქვს; მოსახლეობა მას ,,სერს“

უწოდებს. აქედან შესანიშნავად მოჩანს მთელი სოფელი, არსიანის მთის ფერდობები, მთლიანად კალოთისა და ნაწილობრივ ხიხაძირის ხეობა. ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას მოზრდილი ქვებით შემოფარგლული ოთხკუთხა მოყვანილობის წინა ეზოიანი ნახევრადმიწური ქვის ნაგებობის ნაშთები გამოჩნდა. ამ მონაკვეთში ექსედიციის წევრებს ტექნიკური უსაფრთხოების გამო საველე სამუშაოები შეუჩერებიათ ძირითადი სამუშაოები ბორცვის წვერის სამხრეთ ფერდობზე გადაუტანიათ, სადაც ვიზუალურად შეინიშნებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ დამხრობილი სწორი მოვაკებული ადგილი. კოშკის მშენებლობის დაწყებისა და 1966 წელს ტრანსფორმატორის დადგმისას კალოთელებს სწორედ აქ უნახავთ წისქვილის ქვა და თითქოს ,,ბუხრის“ ქვებიც.

$ 4. ვერნების ნაეკლესიარი

მდებარეობს მდ. სხალთისწყლის მარცხენა სანაპიროზე, სოფლის ცენტრში, შემაღლებულ ბორცვზე, რომელსაც ,,მადისძირს“ უწოდებენ. ტაძარი საგულდაგულოდ ჩანს დანგრეული ოსმალთა თარეშის ხანაში. გადარჩენილია მხოლოდ საძირკველი, საფეხურიანი ცოკოლი და კედლის წყობის რამოდენიმე რიგი (ტაბ. XI). შედარებით უკეთაა შემონახული დასავლეთი (სიმაღლე - 2,1 მ) და ჩრდილოეთი (სიმაღლე - 1,15 მ) კედლები. ტაძარი დარბაზული ტიპისაა (13,5 X 7,5 მ) სამხრეთის მინაშენით (სიგანე - 2,15 მ,) რომელიც საძვალედ იყო გამოყენებული. დარბაზის სივრცე გრძივი კედლების პროფილირებული პილასტრებითა და კამარის საბჯენი თაღებით სამ მონაკვეთად იყო დანაწევრებული. საკურთხევლის თაღიც იმპოსტებით ყოფილა შემკული. ტაძარს ჰქონდა შესასვლელი - სამხრეთიდან და დასავლეთიდან. გარედან ეკლესია სწორკუთხედშია ჩაწერილი. ტაძარს საგანგებოდ გამაგრებული საკმაოდ ფართო საძირკველი (სისქე - 1,85 მ) აქვს. ორსაფეხურიანი ცოკოლი შესანიშნავად დამუშავებული ქვებითაა ნაგები. კედლები (სისქე - 0,85 მ) რუხი ფერის მოზრდილი ქვებითაა მოპირკეთებული. პერანგის წყობა თარაზულია. დარბაზის შუა ადგილას იატაკის დონეზე ჩაკირული იყო საკმაოდ მოზრდილი ქვევრი. ეკლესიის აღმოსვლეთითა და სამხრეთით გაითხარა 23 სამარხი, რომელთაგან 13 კოლექტიურია. მათი დიდი ნაწილი ინვენტარიანია. 1998 წელს სოფ. ვერნებში აღმოჩნდა ქვა რომლის სწორკუთხა სიბრტყე რვიანების, წრე-რომბებისა და წრეში ჩაწერილი ჯვრების გამომსახველი ორნამენტული მოჩარჩოებითაა შემკული. შიდა გლუვი არე შეწყვილებული გრეხილი ლილვებით შედგენილი ორი თაღით არის დეკორირებული. თაღებსა და ორნამენტურ სარტყელს შორის სიბრტყეები ვარდულისა და ლენტოვანი წნულის მოტივებითაა შევსებული. მარცხენა თაღის არეში ამოკვეთილია ოთხსტრიქონიანი წარწერა: ,,ქ(რისტ)ე, ად(იდე)ნ ე(რისთავთ) (ერისთავ)ნი გრ(ი)გ(ო)ლ აბ(უ)ს(ე)რი დ(ა) შვ(ილ)ნი მ(ა)თნ(ი) გ(რი)გ(ო)ლ, ზ(ა)ქ(ა)რ(ია)“. წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი მოღვაწეობდა XI სს შუა ხანებში. არაა გამორიცხული ეს ის გრიგოლ ერისთავი უნდა იყოს, რომელმაც 1046

წელს ღრტილას საეკლესიო კრებაში მიიღო მონაწილეობა და ასევე მოხსენიებულია ათონის მონასტრის აღაპებში (მამულაძე, 1993:82-85; კახიძე, მამულაძე, 2016:97).



$ 5. თიკანაურის ნაეკლესიარი

თიკანაურის ეკლესიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები წარმოებდა 1980 წელს. იგი მდებარეობს მდ. სხალთისწყლის მარცხენა ნაწილზე, შემაღლებულ ტერასაზე. ადგილი თიკანაური, სოფ. ხიხაძირს ეკუთვნის და მისი ცენტრიდან 1.5 კმ-ითაა დაშორებული. ეკლესიის შესახებ წერილობით წყაროებში რაიმე ცნობა არაა დაცული.

ეკლესიისთვის შერჩეულ შემაღლებულ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა ,,ნასაყდარს"-აც უწოდებს. გადმოცემით აქ სხვადასხვა დროს სისტემატურად ჩდებოდა ეკლესიის კედლის ფრაგმენტები, ძვლოვანი თუ კერამიკული მასალა. ეს ადგილი ადრე წარმოადგენდა პურის სალეწ კალოს, თიკანაურის საყდარი საძირკვლის დონემდეა დანგრეული, რომელთაც ემჩნევა პერანგების ქვათლილებისაგან შექმნა. იგი წარმოადგენდა მცირე ზომის (5,2X3,5 მ) დარბაზული ტიპის ნაგებობას, უაფსიდოდ (მამულაძე, 1993:85-86, ტაბ.49). აქა-იქ შემორჩენილია კედლის წყობის მცირე ფრაგმენტები, რომელთაც ემჩნევა პერანგების ქვათლილებისგან შექმნილი ბუდეები. ჩანს ეკლესიის კედლები შემოსილი იყო კარგად დამუშავებული ქვის კვადრებით, რომელთა ნაწილი აღმოჩნდა გათხრებისას. ეკლესიის თლილი ქვები ადგილობრივ მოსახლეობას გამოყენებული აქვს სახლების თუ ბუხრების გამართვისას. ორპირი პერანგების შიგა სიცარიელე შევსებულია მტკიცე დუღაბით. ეკლესია, რომელსაც შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა: გადახურული უნდა ყოფილიყო ორფერდა სახურავით, ხოლო სახურავ მასალად გამოყენებული იყო ქვის ლორფინები, რომელთა თითო-ოროლა ნიმუშიც აღმოჩდა გათხრებისას.

დადასტურდა, რომ ეკლესიის ეზო გამოყენებული იყო სამაროვნად. აჭარისწყლის ხეობის სხვა საეკლესიო ნაგებობების ტერიტორიაზე შესწავლილი სამარხების მსგავსად, აქაც სამარხები გამართული იყო აღმოსავლეთი და სამხრეთი ფასადების გასწვრივ. თიკანაურის საყდრის გარშემო სულ შესწავლილია 12 ორმოსამარხი და ერთი ქვისამარხი. სამარხთა დიდი ნაწილი კოლექტიურია გვხვდება ინდივიდუალურიც. შესწავლილი ცამეტივე სამარხი ინვენტარიანია. ინვენტარში

ძირითადად წარმოდგენილია კერამიკული მასალა - სასმისებისა და ჯამების სახით). (მამულაძე, 1993:85, ტაბ. 50, 51).

$ 6. ფურტიოს ნაეკლესიარები

სხალთისწყლის ხეობაში საეკლესიო ნაგებობათა რიცხვს განეკუთვნება სოფელი ფურტიოს ნაეკლესიარები (შუახევის მუნიციპალიტეტი). მათი კვლევა, ჯერ კიდევ, 2012 წელს დაიწყო. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა XI-XIII სს ეკლესიის ნანგრევები და მასათან დაკავშირებული სამაროვანი. მრავლად იყო წარმოდგენილი საეკლესიო და სამარხეული ინვენტარი (ებრალიძე, მამულაძე, ასლანიშვილი, 2013:280-302).

საინტერესო შედეგების მომცემი აღმოჩნდა მეორე ნაეკლესიარის არქეოლოგიური გათხრები 2018 წლის მაისში. ზურაბ მელიქიშვილის თხოვნითა და ფინანსური მხარდაჭერით, სხალთის მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, ძეგლზე სამუშაოებს აწარმოებდა სსიპ - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიცია[1]

ნაეკლესიარი (ტაბ. XII-XIII) მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში, ,,მჭედლურის“ უბანში. გადმოცემით ოსმალთა ბატონობის ხანაში ეს ეკლესია დაუნგრევიათ, ერთი ქვა-ღა დარჩენილა. ჯერ კიდევ მალულად ქრისტიანად დარჩენილი სოფლელნი მიდიოდნენ ამ ქვასთან, სანთელს ანთებდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ... (სახოკია, 1985:261).

უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ნაეკლესიარი სოფელ მელიქწმინდას ეკუთვნოდა (შაშიკაძე, 2011:55), დღეს აღნიშნული სოფელი და თვით სახელწოდებაც გამქრალია. წყაროებში იგი სოფელებთან - ფურტიოსა და ჭა-სთან ახლოს ისხსენიება[2].

---

[1]ხელმძღვანელი - ტარიელ ებრალიძე, კონსულტანტი - ამირან კახიძე, მეცნიერ-თანამშრომელი - ნარგიზ სურმანიძე, რესტავრატორი - მერი ყულეჯიშვილი, მხატვარ-არქიტექტორი - გიორგი დუმბაძე.

[2] საინტერესოა სელიმ II-ისმ მართველობის (1566-1574 ᲬᲬ) დროს შედგენილი„ დავთარი“. წყაროში სოფელი ფურტიო, ექვემდებარება ზემო აჭარას. შემდეგი სოფელი რომელსაც„ დავთარში“ ვხვდებით არის სოფელი „ჭა“. იგი ახლოსაა მელიქწმინდასთან (შაშიკაძე, 2011:55). თარგმანის ავტორი ზ. შაშიკაძე კომენტარებში ამ სოფლის შესახებ განმარტავს: შემდეგი სოფელია ჭა, რომელშიც 8 კომლი ცხოვრობს.

ცნობილია, რომ XVI ს-ის მეორე ნახევრში ოსმალებმა დაიპყრეს აჭარისწყლის ხეობა, აღწერეს სოფლები და შექმნეს ადგილობრივი ადმინისტრაციულ-მმართველობითი სისტემა. მთელი რეგიონი, აჭარის ლივის სახით ოსმალეთის იმპერიაში გააერთიანეს (შაშიკაძე, 2011). აჭარის აღწერის პირველ დოკუმენტში - ,,დავთარი" - კარგად ჩანს მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა, რაც შემდგომში კიდევ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. ხშირია მიგრაციული პროცესები. ბუნებრივია, ასეთ რთულ ვითარებაში თავისუფლად შეიძლებოდა ცალკეული სოფლების გაქრობა და მათი ტერიტორიების მეზობელი სოფლების საზღვრებში მოქცევა. ქრება ან კიდევ კნინდება და მიკროტოპონიმის სახით რჩება მათი სახელებიც. აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სოფელ მელიქწმინდას შესახებ ცნობებს, ბევრი სხვა სოფლების მსგავსად მხოლოდ წერილობით წყაროებში ვხვდებით.

ნაეკლესიარის შესახებ რაიმე წერილობითი ცნობა არაა დაცული. ადგილი, რომლის მიკროტოპონიმია ,,საყდრიკარი" კარგად ჩანს, რომ საგანგებოდაა რიყის ქვებით წრიულად შემოსაზღვრული (ფართობი დაახ. 750 კვ.მ). აღნიშნული ფაქტი ამყარებს მოსაზრებას, რომ აჭარისწყლის ხეობაში დაცული ეკლესიების ერთი ნაწილი ,,კარის" სამლოცველოები უნდა ყოფილიყო (მამულაძე, 1993:102). ამ ტერიტორიაზე ადრე შემთხვევით თიხის ჭურჭლის ნატეხები და ბრინჯაოს ზარიც უპოვიათ, რომელიც სამწუხაროდ დაკარგულა. ტერიტორია ნაძვნარითაა დაფარული.

მითითებულია, რომ იგი ახლოს არის სოფელ მელიქწმინდასთან (შაშიკაძე, 2011:55). სადღეისოდ ეს სახელი სოფლის ერთ-ერთ უბანს ჰქვია. სადაც ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით და ზედაპირულადაც კი შეინიშნება დასახლებისა თუ ნაგობობის ნაკვალევი. წინასწარეული დაზვერვების მიხედვით, შესაძლოა, აქ ეკლესიასთან დაკავშირებული დიდი სამონასტრო კომპლექსი ყოფილიყო. შემთხვევით ადრე აქ ზარიც უნახავთ (ებრალიძე, მამულაძე, ასლანიშვილი, 2013:283-284). ნაკვალევი ფიქსირდება სიაკათის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი ამოკითხვის ათი ვარიანტი არსებობს. გავითვალისწინეთ რა ცნობილი მოსაზრება ტერმინ „აჭარის" წარმოშობის შესახებ, რომლის ამოსავალ ფორმად „ჭ"-ს („ჭა") მიიჩნევენ და წყაროს, მდინარისა თუ საკუთრივ ჭის განმარტებას აძლევენ ჩვენი „არჩევანი" აღნიშნულ სახელწოდებაზე შევაჩერეთ. ამგვარი ვარაუდი კიდევ უფრო მყარი გვეჩვენა მას შემდეგ რაც, აღნიშნული ადგილები დავათვალიერეთ. მდინარე სხალთის ხეობაში, დღევანდელი ფურტიოს ერთ-ერთ უბანში დავაფიქსირეთ საკმაოდ მოზრდილი ჭაობი, რომელიც ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით, უცნაურადაც კი ჩანს, სოფლის მკვიდრთა გადმოცემით ამ ტერიტორიას ძველად „ყუიუს" ეძახდნენ. აღნიშნული სახელწოდება თურქულია და ქართულ თარგმანში „ჭას" ნიშნავს. როგორც ჩანს, სახელწოდება დროთა განმავლობაში თურქულად „ითარგმნა" (შაშიკაძე, 2011:55).

არქეოლოგიური სამუშაოები ქვაყრილით შემოზღუდულ ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, შედარებით მოსწორებულ ადგილას ჩატარდა. თხრილი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. ჰუმუსი აქ არც ისე მძლავრია. მერყეობს 5-15 სმ-მდე. მოსდევს მოყვითალო მიწა, რომელიც შეიცავს სხვადასხვა სახის სამეთუნეო ნაკეთობანს. სამუშაოების დაწყებისთანავე გამოიკვეთა ნაგებობის კონტურები.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ეკლესია საძირკვლის დონემდეა დანგრეული. იგი წარმოადგენდა მცირე ზომის (სიგრძე 8 მ, სიგანე 5,5 მ, კედლის სისქე 0,80-1 მ) დარბაზული ტიპის ნაგებობას, რომელსაც თიკანაურის ნაეკლესიარის მსგავსად, არ გააჩნია აბსიდა. აღმოსავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით შემორჩენილია საძირკვლის ნაშთები, დასავლეთით კი მთლიანადაა განადგურებული. როგორც ჩანს შენობას შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთ კუთხიდან ჰქონდა. შენობის დასავლეთი კედელი თითქმის მიდგმული უნდა ყოფილიყო ქვაყრილიან ზღუდესთან, დაცილება 1,5-2 მ, ხოლო ჩრდილოეთი დაახლოებით 3 მ-ის მოშორებითაა.

ნაეკლესიარის შიგა ტერიტორიის გათხრებისას, ზედაპირიდან დაახლოებით 50 სმ სიღრმეში აღმოჩნდა კოლექტიური თუ ინდივიდუალური სამარხები. სამარხი ორმოს კონტურები არ იკვეთება. მიცვალებულები ერთმანეთის გვერდი-გვერდ ორ რიგად იყო დასვენებული. პირაღმა, ხელები გულმკერდის არეში აქვთ დაკრეფილი. დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. როგორც ჩანს სამარხები ნაეკლესიარის აღმოსავლეთითა (გათხრილ მონაკვეთში თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა მიცვალებულთა ძვლების მცირე ფრაგმენტები) და სამხრეთითაც ვრცელ ფართობზე უნდა იყოს გამართული.

გათხრების შედეგად აღმოჩნდა სხავადსხვა სახის სამეთუნეო ნაკეთობანი. გვხვდება რკინისაგან დამზადებული საეკლესიო ნივთებიც. მასალების ერთი ნაწილი (ქვევრების, ჯამების, დოქებისა და სხვა სახის ჭურჭლის ფრაგმენტები) იატაკის დონეზე იყო მიმობნეული. სამხრეთი კედლის საძირკვლის გასწვრივ ერთ ხაზზე (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით) სამარხი ორმოს დონეზე

წარმოდგენილი იყო ჯამები და სასმისები. იმავე ხაზზე მსგავსი არტეფაქტები აღმოჩნდა აღმოსავლეთი კედლის გარეთაც.

აღმოჩენილი არტეფაქტებიდან ყველაზე მეტი რაოდენობით წარმოდგენილი არის სასუფრე ჭურჭლის ნიმუშები. მათ დიდ ნაწილს **ჯამები** წარმოადგენს. ხერხდება ცალკეული ფორმების მთლიანად აღდგენაც. ისინი კეცითა და სტრუქტურით ერთმანეთის მსგავსია. თიხა მოყავისფროა. კარგად განლექილი. არათანაბარი გამოწვის შედეგად განატეხში მოშავო მონაცრისფრო. ჯამები მცირე დეტალებით ერთმანეთისაგან განსხვავდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბრტყელძირა დაკუთხულქუსლიანი ჯამები, რომელთა პირ-გვერდი თანაბრადაა მომრგვალებული და შიგნით გადახრილი, ზოგიერთი დამრეცი კალთისაგან გამოკვეთილი. როგორც მიიჩნევენ ქუსლები დაკუთხულია გამოწვამდე და დამზადების ეს ტექნიკა აჭარისწყლის ხეობის კერამიკული ნაწარმის ლოკალურ თავისებურებას წარმოადგენს და სხვა რეგიონებში არ გვხვდება (მამულაძე, 1993:124). გვხვდება უქუსლო ნიმუშებიც.

ცალკე გამოიყოფა შეზნექილქუსლიანი ჯამის სხვადასხვა ფორმები. ერთი მათგანისათვის დამახასიათებელია მაღალი, დამრეცი კალთისაგან მკვეთრად გამოყოფილი, აკეცილი პირ-გვერდი და მაღალი, კონუსურად შეღრმავებული ქუსლი. ორი ჯამის (ისინი ძირ-კედლის ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი) ქუსლი დაბალი, რგოლისებურია, საყრდენი არე ბრტყელი, ძირი ამობურცული. ერთის ძირზე ამოკაწრულია ჯვარი.

სამეთუნეო ნაკეთობებიდან ყურადღებას იქცევს **სასმისები.** ყველა მათგანიმიეკუთვნება ცალყურა სასმისების ტიპს, რომელთათვისაც დამახასიათებელია ბრტყელი ძირი, ძირთან ახლოს გაფართოებული მომრგვალებული ტანი, მაღალი, დაქანებული მხრები, ფართო პირ-ყელი. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო მიძერწილია ყელზე, პირთან ახლოს, ხოლო ქვედა ტანის არეში. ერთ-ერთი მათგანი შემკული ყოფილა წითელი წერნაქით შესრულებული ჰორიზონტალური ზოლებით. სასმისზე წერნაქი თითქმის წაშლილია.

სამზარეულო ჭურჭელთაგან გამოიყოფა პურის საცხობი **კეცები.** მოყავისფრო. მსხვილმინარევებიანი. დამახასიათებელია დაბალი, ოდნავ გადაშლილი გვედი, ბრტყელი ძირი.

მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ჭდეებით შემკული დოქის ყურები, ქოთნისა თუ სხვა სახის ჭურჭლის ძირ-კედლის ფრაგმენტები. ფორმების აღდგენა შეუძლებელია.

სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლებიდან გვხვდება ქვევრის ფრაგმენტები: ჭდეებით შემკული პირები და ქედებით შემკული კედლის ნატეხები.

გარდა სამეთუნეო ნაკეთობებისა ძეგლზე აღმოჩნდა საეკლესიო ნივთები.

რკინის ჯვარი. აქვს ბრტყელგანივკვეთიანი ბოლოებისკენ გაფართოებული მკვლავები. **რკინის ვარსკვლავი.** ეს ნივთები პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ არქეოლოგების მიერ გათხრილი ნაგებობის ნაშთები ნაეკლესიარს წარმოადგენს (უახლესი გათხრების შესახებ ანგარიშები ეკუთვნის ტ.ებრალიძესა და ნ.სურმანიძეს).

ძეგლზე აღმოჩენილი ნივთები ახლო პარალელებს პოულობს აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების საეკლესიო ნაგებობებისა და სამაროვნების, ასევე სასიმაგრო-თავდაცვითი ნაგებობების გათხრებისას აღმოჩენილ მასალასთან (მამულაძე, 1993; მამულაძე, 1998; მამულაძე, ქამადაძე, 2017).

$ 7. ხიხანის ნაეკლესიარი

ტბელ აბუსერისძის თხზულებაში საუბარია ხიხანის ეკლესიის (ტაბ. VII) შესახებ, რომლის ასაგებად, მოუსწორებიათ კლდოვანი, საკმაოდ დაქანებული ქანი (ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ). მოუმზადებიათ სამშენებლო მოედანი და საკმაოდ მყარი კედელი ამოუყვანიათ. მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიის სიგრძე 7,7 მ-ია სიგანე - 5,2 მ. კედლების სისქე - 60 სმ, შემორჩენილი სიმაღლე 1,5 მ. ეკლესიის კედლები დაშენებულია ერთსაფეხურიან ცოკოლზე - ნაშენია კლდის ნაწილობრივ დამუშავებული საშუალო ზომის ქვებით კირხნარზე. რიგებს შორის ჰორიზონტალურობა არცთუ ისე კარგადაა დაცული. შესასვლელი ჰქონია სამხრეთიდან და დასავლეთიდან. მისი იატაკი მოგებული ყოფილა კლდის ფლეთილი ფილებითა და კირხნარით. ნახევარწრიული საკურთხეველი ჩაწერილია ეკლესიის სწორკუთხა გეგმაში. პილასტრების არსებობა არ დასტურდება. გადახურვის კამარა, როგორც ჩანს, უშუალოდ ეყრდნობოდა გვერდით კედლებს. შელესილობის ან მოხატულობის რაიმე კვალი არ შეინიშნება. აღმოჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ ეკლესია ქვის ლორფინებით უნდა ყოფილიყო დახურული. როგორც ტბელის თხზულებიდან ჩანს, ადრე აქ ხის ეკლესია ყოფილა. XIII საუკუნის 30-იანი წლებისთვის ქვის ეკლესია აუგიათ. მშენებლობასთან დაკავშირებით შემოგვენახა საინტერესო წერილობითი ცნობები. ტბელ აბუსერისძე ლიტერატურულ-მწიგნობრულ მოღვაწეობასთან ერთად ხირხათის მთის ძნელად მისადგომ ციხესიმაგრეში მშენებკლობასაც ეწეოდა. მას ძმების ერისთავთ-ერისთავების აბუსერისა და ვარდანის დავალებით წმ. გიორგის ეკლესია აუგია. თხზულების წერისას 1233 წელს მშენებლობა ჯერ კიდევ არაა დასრულებული. ავტორი იქვე ზის და ამ საქმეს მეთვალყურეობს. თხზულებიდან ჩანს, რომ ეკლესიის მშენებლობა დიდ სიძნელეებთან ყოფილა დაკავშირებული. ტბელ აბუსერისძე წერს: ,,მამულისა ჩვენისა კაცთა, წესისაებრ, დიდი ჭირი ნახეს, გარნა ბაკოელთა მეტისმეტად დიდი მოიჭირვეს'' (ტბელ აბუსერისძე, 1942:67). ტბელი ასახელებს აქვე რამოდენიმე მიზეზს: ციხის მიუვალობა, ქვების მშენებლობის ადგილზე მიტანა და სხვა. ტექსტიდან ჩანს, რომ იგივე ბაკოელნი

ყოფილან ეკლესიის აშენების ინიციატორები. ამათი ,,ვაზირობითა და შემოხუეწითა ხელვყავ ეკლესიისა მრავალითა სახლოვნებითა აღშენება'' (ტბელ აბუსერისძე. 1998). ხიხანის ეკლესიის შემკობისთვის დიდად უზრუნია ერისთავთ-ერისთავ აბუსერს, ხოლო ტბელ აბუსერისძის მეუღლე ბაგულს კი მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია მშენებლობის დასრულებაში. ეკლესია აგებული უნდა იყოს XIII ს 30-იანი წლებისთვის. ეკლესიის მშენებლობასთან ერთად ტბელ აბუსერისძეს მლოცველებისათვის განკუთვნილი სახლების აშენებაზე უზრუნვია. ბაკოელთა ,,ვაზირობითა და შემოხუეწითა ხელვყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოვნებითა აღმშენებაი, მუნ შინა მისრულთა სალოცავად ჭიდროებისა მათისა ნუგეშინის საცემელად“ (მინდორაშვილი, 2015:132-183) .

●●●

თ. სახოკია თავის მოგზაურობანში წერს, რომ სოფელ ხიხაძირში შესვლისთანავე გხვდება მიწასთან გასწორებული საძირკველი ძველი დროის ეკლესიისა, რომლის ნანგრევებზე ჯამე აუშენებიათ. ეკლესიის თლილი ქვები აქვე წყაროს წყლის მოსაწყობად გამოუყენებიათ. ერთ-ერთ ქვაზე ჯვარია ამოკვეთილი. ერთ მათგანზე კი თურქული წარწერაა დატანილი: ,, ჩემი სულის საოხად გავაკეთე ეს წყარო სელიმ-აღამ (შემდეგში სელიმ ხიმშიაშვილი) 1202 წელს (1785 წელს)“ (სახოკია, 1985:292-293).

გამოყენებული ლიტერატურა

დავითაძეი., გრავირებული ცული სოფელ ფუშრუკაულიდან. - სდსძ, VIII, თბილისი, 1979.

ებრალიძე, მამულაძე, ასლანიშვილი, არქეოლოგიური გათხრები სოფელ ფურტიოში. - აჭარა, წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი, 2013:280-288.

კახიძე ა., დავითაძე ი., მამულაძე შ.,კოლხური კულტურის უძველესი ძეგლები, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 11/V,1979

კახიძე ა., დავითაძე ი., მამულაძე შ., კოლხური ხელოვნების უძველესი ძეგლები აჭარისწყლის ხეობიდან, ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, №11, 1980

კახიძე ა., დავითაძე ი., მამულაძე შ.,კოლხური კულტურის უძველესი ძეგლები სხალთისწყლის ხეობიდან. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, N3.1981

კახიძე ა., დავითაძე ი., მამულაძე შ.,ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები სოფ. ხიხაძირიდან. - სდსძ X, თბილისი, 1981

კახიძეა., ახალი არქეოლოგიური ექსპონატი. _ გაზ. ,,საბჭოთა აჭარა'', ბათუმი,1975, 22 ოქტომბერი.

კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარის წყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი 1993

კახიძე ა., აჭარა შუაბრინჯაოს ხანაში, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა 1,თბ., 2007:144-148

კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2016

კახიძე ა., სურმანიძე ნ., ნაგერვაძე მ., აჭარა ენეოლითი-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში, კატალოგი, 2016.

მამულაძე შ., აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული სოფ. ფუშრუკაულში შემთხვევით აღმოჩენილი მასალები. _ სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი, 1978

მგელაძე ნ., სულიერი სამყარო, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა 1,თბ., 2007:215-227.

მინდორაშვილი დ., ხიხანის ციხეზე 2013 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში - აჭარა, წარსული და თანამედროვეობა, II, ბათუმი, 2015:132-148.

რამიშვილი ქ. „ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულებები კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზე, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №20, თბილისი,2011.

სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წ. I, ბათუმი, 1958.

სიხარულიძე ი.,ტბელაბუსერისძე, ბათუმი,1963.

ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ., I, თბ., 1955.

სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.

ფანცხავა ლ., კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბილისი, 1988

შაშიკაძე ზ, აჭარის ლივის გრძელი და მოკლე დავთრები, ბათუმი 2011.

ჩხატარაშვილი გ., აჭარა ქვის ხანაში, კატალოგი, ბათუმი, 2017

ჭიჭილეიშვლიმ.,საეკლესიო ხუროთმოძღვრება.-სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა II, ბათუმი, 2009

Воронов Ю. Н., Гунба М. М.,Новые памятники Колхидской культуры в Абхазии, СА, 2, 1978.

Лукин А. А., Материалы по археологии Бзыпской Абхазии. – ТОИПОГЭ, т. I, Л., 1941

ტაბულების აღწერილობა

I – 1. ობსიდიანის შუბისპირი (ყიშლა); 2. ბრინჯაოს ცული (ვერნები); 3. ბრინჯაოს ცული (რაქვთა).

II – 1-5 ხიხაძირის განძი; 6.ფუშრუკაულის გრავირებული ცული.

III - კალოთის მეგალითური კულტურის საკურთხეველ-სამსხვერპლო.

IV - ხიხანის ციხე.

V - ხიხანის ციხეზე აღმოჩენილი მარანი.

VI - ხიხანის ნაეკლესიარი.

VII - 1. ციხისყელი; 2. ვარდციხე.

VIII –1. სხალთის ტაძარი; 2.სხალთის მცირე ეკლესია.

IX– სხალთის ტაძრის ფრესკები.

X- ვერნების ნაეკლესიარი.

XI - XII- ფურტიოს ნაეკლესიარი და ძეგლზე აღმოჩენილი არტეფაქტები.

XIII–კალოთის ნაეკლესიარი.

XIV - ფურტიოს თაღოვანი ხიდი.

I



1

3

II

1

2

3

4

5

6

III

1

2

3

1

2

1

2

1

2

1

2

1

2

IX

1

2

3

4

5

X

1



XI

XII

1



2

XIV